პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 191 (9351)

ოთხშაბათი 13 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მნიშვნელოვანი პირობა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
მეშახტის დღის წინ (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. ა. კუსრაშვილი — პარტიული ორგანიზაცია და ნოვატორთა გამოცდილების გავრცელება (მე-2 გვერდი).
გავაძლიეროთ მოსავლის აღების ტემპი (მე-2 გვერდი).
ტ. თოდრაძე — მოწინავე მექანიზატორის ბარაქიანი შრომა (მე-2 გვერდი).
მოსკოვის ამბები (მე-2 გვერდი).
მ. ბურჭულაძე — სახალხო განათლების მუშაკთა გადაუდებელი ამოცანა (მე-3 გვერდი).
გ. ცირეკიძე—სწავლის დაწყების წინ (მე-3 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
უკანასკნელი ფოსტიდან (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები (მე-4 გვერდი).

## ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მნიშვნელოვანი პირობა

საბჭოთა სკოლა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სკოლაა. იგი მოსწავლეებს უნერგავს ჭეშმარიტად მეცნიერული ცოდნის საფუძვლებს, ეწევა ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ფორმირებას, ზრდის მას საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნისტური მორალის—კაცობრიობის ყველაზე მაღალი, კეთილშობილური მორალის სულისკვეთებით.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, პირადად ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ ახალგაზრდობის სწავლისა და კომუნისტურად აღზრდის საკითხისადმი.

«ჩვენი სახელმწიფო, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — განსხვავდება ყველა სხვა სახელმწიფოსაგან იმით, რომ იგი არ იშურებს სახსრებს ბავშვების კარგი მოვლისა და ახალგაზრდობის კარგი აღზრდისათვის... მე ვფიქრობ, არსად არ იჩენენ ისეთ მზრუნველობას ბავშვის მიმართ, მისი აღზრდისა და განვითარებისათვის, როგორც ჩვენთან, საბჭოთა კავშირში».

ამჟამად ჩვენში გაცხოველებული მზადებაა ახალი სასწავლო წლისათვის. პედაგოგთა კოლექტივები, სახალხო განათლების ორგანოების მუშაკები ისწრაფვიან კარგად შეხვდნენ მეცადინეობის დაწყებას.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მოსწავლეების დროზე მომარაგება მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოებით.

4 აგვისტოს მოწინავე წერილში «კარგად მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის» გაზეთი «პრავდა» აღნიშნავდა სახელმძღვანელოების ბეჭდვის დაჩქარების აუცილებლობას, სახელმძღვანელოების გამოცემისა და სკოლებისათვის მათი მიწოდების დასახული გეგმების დროზე შესრულების აუცილებლობას. «პრავდის» მოწინავე წერილში ამასთან აღნიშნული იყო, რომ ამ საქმეში ჩამორჩენილია საქართველოს სსრ.

ამ ჩამორჩენისათვის უშუალო პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად ეკისრებათ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს.

წელს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ უნდა გამოსცეს 103 სახელწოდების სასკოლო სახელმძღვანელო 1 მილიონ 972 ათასი ეგზემპლარის საერთო ტირაჟით. მაგრამ სახელმძღვანელოთა გამოცემა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ სახელგამს სახელმძღვანელოთა ხელნაწერები დროზე ჩაბარდა (გასული წლის 1 ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1 მარტამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ სახელგამს ჩააბარა 65 სახელწოდების სახელმძღვანელოთა დედნები), მან სათანადოდ ვერ გამოიყენა ეს გარემოება და ხუთი თვის განმავლობაში (1 მარტამდე) მხოლოდ 2 სახელმძღვანელოს გამოცემა მოახერხა!

სრულიად შეუწყნარებელია სახელგამის სარედაქციო აპარატის მუშაობაში გამეფებული მანკიერი პრაქტიკა—ხელნაწერების დაგვიანებით გადაცემა წარმოებაში, სტამბებში დასაბეჭდი წიგნების განაწილების საკითხის მოუგვარებლობა და სხვ. ეს კი იწვევს დაბეჭდილი სახელმძღვანელოების დაგვიანებით გადაცემას სავაჭრო ქსელისათვის. ეს გარემოება აფერხებს წიგნების დროულად გავრცელებას. ნაცვლად იმისა, რომ წიგნები გეგმიანად ჩაებარებინა სავაჭრო ორგანიზაციისათვის, სახელგამმა «საქწიგნისათვის» სახელმძღვანელოთა ჩაბარება ძირითადად ივლისში დაიწყო. ამან გამოიწვია სავაჭრო ორგანიზაციების ნორმალური მუშაობის შეფერხება — ბაზებისა და მაღაზიების გადატვირთვა, ვაჭრობის დაბრკოლება, მომხმარებელთა სამართლიანი საყვედური.

ასე ნაჩქარევად, უგეგმოდ, «იერიშობანას» შედეგად გამოცემულ წიგნებს ბევრი ნაკლი აქვთ, ხშირად კი მთლიანად წუნს წარმოადგენენ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ «მშობლიური ლიტერატურის» VII კლასის სახელმძღვანელო, რომლის მთელი ტირაჟი შეუწყნარებელი ტექნიკური შეცდომების გამო სტამბაში დასაბრუნებელი გახდა. ასევე ითქმის IV კლასის სახელმძღვანელოზეც—ა. შესტაკოვის «საბჭოთა კავშირის ისტორიაზე». ნაჩქარევად გამოცემული მრავალი სახელმძღვანელოს საერთო ნაკლია პოლიგრაფიული დეფექტები—ბეჭდვისა და კლიშეების ცუდი ხარისხი, მთელი რიგი სახელმძღვანელოების დაბალხარისხოვანი აკინძვა.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა, ხოლო საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა ამ საქმეში საჭირო მომთხოვნელობას ვერ იჩენს.

ასეთი მდგომარეობა წლობით გრძელდება. სახელგამის ხელმძღვანელობა წლიდან წლამდე იმართლებს თავს ტექნიკური ბაზის ცუდი მდგომარეობით, რაც ნაწილობრივ სიმართლეს შეეფერება. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს და პირველ რიგში მისი ყოფილი უფროსის ამხ. ი. რუხაძის მოუქნელმა მუშაობამ, ინერტულობამ და უპასუხისმგებლობამ თავისი დაღი დაასვა პოლიგრაფიული მრეწველობის მდგომარეობას საქართველოში. საჭიროა ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მაღალხარისხოვანი პოლიგრაფიული ბაზის შესაქმნელად, ახალი კადრების აღსაზრდელად.

ახლოვდება 1 სექტემბერი—სწავლის დაწყების დღე. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ამ დღისათვის უზრუნველყოს ყველა გათვალისწინებული სახელმძღვანელოს სრული ტირაჟით გამოცემა, პირნათლად შეასრულოს პარტიისა და მთავრობის ეს მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი დავალება.

## ახალი სახლები შუა აზიის მაღაროელთათვის

**ტაშკენტი**, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს უზბეკეთის ქვანახშირის ტრესტის მაღაროელებმა მშენებელთაგან მიიღეს 600 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ორი ახალი სახლი. ყოველ ბინაში არის ორი ოთახი, სამზარეულო, აივანი და საკუჭნაო. მთავრდება კიდევ ორი სახლის მოპირკეთება, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა აგვისტოს დამლევს.

მეშახტის დღისათვის შუა აზიის ქვანახშირის კომბინატის მაღაროელები მშენებელთაგან მიიღებენ 16 ათას კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს. ახალ ბინებში შევა მეშახტეთა ასობით ოჯახი.

# საბჭოთა საქართველოში

★ ★ ★

### მეშახტის დღის წინ

## მოწინავე შახტში

**ტყიბული**. (საკ. კორ.). სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მეშახტის დღის აღსანიშნავი შეჯიბრება. სტახანოვურ ვახტზე დგანან ქვანახშირის მოწინავე მნგრეველები, მებიგეები, გამყვანები, მტვირთავები, ელმავლის მემანქანეები. მათ ნაკისრი აქვთ მეშახტის დღისათვის ათი-თერთმეტი თვის საწარმოო დავალების განაღდება, სამაგრი და ფეთქებადი ნივთიერების დაზოგვა, ახალი სამთო ტექნიკისა და შრომის მოწინავე მეთოდების ათვისება.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ყველას გაუსწრო ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც შვიდ თვეში გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ქვანახშირი ამოიღო. შახტმა წარმატებას მიაღწია ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებითა და ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის დანერგვით.

შახტის საექსპლოატაციო უბნებს შორის კვლავ პირველობას ინარჩუნებს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული უბანი, რომელსაც გამოცდილი სამთოელი შ. შოთაძე ხელმძღვანელობს. ამ უბნის კოლექტივი სისტემატურად გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეულ ტონა ქვანახშირს იძლევა. და სადღეღამისო დავალებას 15-20 პროცენტის გადაჭარბებით ანაღდებს. უბნის ყველა მეშახტე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმას. სტახანოველი მნგრეველი ზ. მხეიძე, რომელმაც ივლისის დავალება 54 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა, ყოველდღიურად ნორმის ზევით 20-30 ტონა ქვანახშირს იძლევა. მას მუშაობაში არ ჩამორჩებიან მნგრეველები ფ. ვაჭარაძე, დ. ნემსაძე, მებიგე კუპრაშვილი და სხვები.

## ამზადებენ ლავებს

**ახალციხე**. (საკ. კორ.). პირველი შახტის მეშახტეებმა ნაყოფიერი შრომის შედეგად ახალი ლავების მომზადების ივლისის გეგმა ორმაგად შეასრულეს. აღმოსავლეთის ფრთაზე ამუშავდა ორი მძლავრი ლავი მეოთხე ფენის მესამე კვერშლაგში. შტრეკებში დადგმულია ორი ტრანსპორტიორი, რაც აადვილებს ქვანახშირის ტრანსპორტირებას.

საფენე შტრეკებს წინათ ხის მასალით ამაგრებდნენ, რაც ამცირებდა შტრეკების მომსახურების ვადებს და ადიდებდა ნახშირის თვითღირებულებას. ამჟამად, შტრეკების რკინის საყრდენებით გამაგრების შედეგად, ეს ნაკლოვანებანი გამოსწორებულია.

ამ დღეებში დაწყებულია ახალი კვერშლაგების გაყვანა დასავლეთის ფრთაზე, საიდანაც 15 აგვისტოდან დაიწყება ახალი ლავების გაჭრა.

ახალი ლავების მომზადების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ მნგრეველები მ. ბოჩკარიოვი, ნ. მანუკიანი, გამყვანი ფ. მელენჩუკი, გამმაგრებლები პ. ბერულინი, ბ. ტეფნაძე, ა. ქველაძე და ს. ქასრაშვილი.

## გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

### თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

შარშანდელთან შედარებით წელს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შემსვლელებმა გამოცდებზე უკეთესი მომზადება გამოამჟღავნეს. წელს მეტია იმათი რიცხვი, ვინც მათემატიკაში ნიშნები „5“ და „4“ მიიღო.

ინსტიტუტში უკვე 12 დღეა მიმდინარეობს გამოცდები. ეს დაძაბული დღეებია როგორც შემსვლელთათვის, ისე საგამოცდო კომისიებისა და მთელი ინსტიტუტისათვის. 1.340 ახალგაზრდიდან დღემდე, განსაკუთრებით ფიზიკაში გამოცდის შემდეგ, მხოლოდ 900-მდე შემორჩა გამოცდებს. გამოცდების მიმდინარეობამ გვიჩვენა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილის სუსტი მომზადება ფიზიკაში. ამ ფაქტიდან ჩვენი რესპუბლიკის საშუალო სკოლებმა სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წელს 383 მედალოსანია უგამოცდოდ ჩარიცხული. ინსტიტუტში დასწრებულზე გამოცდების პარალელურად მიმდინარეობს აგრეთვე დაუსწრებელ განყოფილებაზე მისაღები გამოცდები. აქ გამოცდებს აბარებენ ისეთი სამრეწველო ქალაქების საწარმოთა ახალგაზრდები, როგორიცაა ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ჭიათურა, ფოთი. თბილისიდან 300 კაცი აბარებს გამოცდებს.

საგულისხმოა, რომ რუსთავში ადგილზე მოეწყო მისაღები გამოცდები ფიზიკა-მათემატიკურ საგნებში. საქართველოს ინდუსტრიული სიამაყის — რუსთავის მოწინავე ახალგაზრდები ცდილობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლად დაეუფლონ ტექნიკურ მეცნიერებას. პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან სპეციალურად გაგზავნილმა საგამოცდო კომისიამ გამოცდების მარტო პირველ დღეს 40 კაცი გამოსცადა.

ინსტიტუტში მისაღები გამოცდები როგორც სტაციონარზე, ისე დაუსწრებელ განყოფილებაზე 18 აგვისტოს დამთავრდება.

## თამბაქოს მეჯეხა

10 აგვისტოსათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მეტეხილი და ანემსილი იყო 28.974.054 ზონარ-მეტრი თამბაქო, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 22,6 პროცენტით.

თბილისის ოლქში თამბაქოს მეტეხისა და ანემსვის გეგმა 36,1 პროცენტით არის შესრულებული, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 20,7, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 11,9 პროცენტით.

## ჩაის ფაბრიკა

**ჩოხატაური**. ლესიჭინეში საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩაის ახალი ფაბრიკა. ფაბრიკა ყოველდღიურად 20-25 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლს ამუშავებს. (საქდესი).

## სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულნი

**თბილისის გარეუბნის რაიონი**. (სპეც. კორ.). დიღმის მტს-ის კომბაინერები გაეცნენ რუსელი ნოვატორი კომბაინერის იოსებ ტიტვინიძის მუშაობის გამოცდილებას და ახალი ძალით გააჩაღეს ბრძოლა კომბაინის სრული დატვირთვით გამოყენებისათვის.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა არტემ ქონიაშვილი. იგი მოსავლის აღების დაწყების პირველ დღიდან სრული დატვირთვით ამუშავებს კომბაინ „სტალინეც-6“-ს. ამის შედეგად უკვე მომკილი აქვს 355 ჰექტარი. ახლა კომბაინერი ამხ. ქონიაშვილი სოფელ გლდანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად 16-18 ჰექტარ პურეულს მკის.

ამავე მტს-ის კომბაინერმა ზურაბ გოჩიაშვილმა ისე მოაწყო შრომა, რომ პურეულის მკის წლიურ დავალებას 49 ჰექტარით გადააჭარბა და იმისათვის იბრძვის, რომ მოსავალი კიდევ აიღოს 60 ჰექტარზე. ასევე სრული დატვირთვით ამუშავებენ კომბაინს და წლიური გეგმა უკვე შეასრულეს კომბაინერებმა ა. ხარკოვსკიმ და შ. გოჩაშვილმა.

## სამელიორაციო ჯგუფი მტს-ში

**საგარეჯო**. (საკ. კორ.). წელს სართიჭალის მტს-თან დამხმარე სარწყავი არხების გასაყვანად შეიქმნა სამელიორაციო ჯგუფი, რომელშიც შრომატევადი სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია.

მელიორატორები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. მათ უკვე 30 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოები აქვთ შესრულებული. სოფელ ხაშმის სტალინის სახელობის, ახალსოფლის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებისა და სართიჭალის კოლმეურნეობის ნაკვეთებში მელიორატორებმა სამგორის მაგისტრალური არხიდან უკვე გაიყვანეს დამხმარე არხების ფართო ქსელი.

ახლად გაყვანილი არხებით ნაწილობრივ ირწყვება სამგორის ახლად დასახლებული სოფლების ნაკვეთებიც.



ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. გემი „რადიშჩევი“ მე-15 რაბიდან გამოდის შემაერთებელ არხში.
ფოტო ლ. პორტერისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ციმლიანსკის ზღვის შუქი

**დონის კალაჩი**. (საკდესი). ციმლიანსკის ზღვაზე დღისით და ღამით მიმოდიან დატვირთული კარჭაპების ქარავნები და სამგზავრო ექსპრესები.

მიმდინარე ზაფხულში ადვილი არ არის ახალ ზღვაზე მიმოსვლის პირობები — იგი ჯერ კიდევ არ ავსებულა საპროექტო ნიშნამდე. მისი ფარვატერი ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ დაკავშირებულია დონის წინანდელ კალაპოტთან. ასეთი პირობები ნაოსნობის დიდ ოსტატობას მოითხოვს.

ახალ ზღვაზე მიმოსვლის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად აქ შექმნილია სალოცმაისტერო, რომელსაც მეთაურობს დონის გამოცდილი მემდინარე ი. ფ. ფუფაევი. მთელი ციმლიანსკის წყალსაცავი დაყოფილია ოთხ დისტანციად, რომელთაგან თვითეული ემსახურება 60-100 კილომეტრ სანაოსნო გზას კალაჩსა და ციმლიანსკის ნავსადგურს შუა. მათ მოეპოვებათ სწრაფმავალი გემები, რათა მომსახურება გაუწიონ დაახლოებით 300 ბაკენსა და საზღვაო ტივტივას.

ახლა გზის ყველაზე ძნელ უბანზე სტანიცებს ნიჟნეჩირსკაიას, სუვოროვსკაიასა და პოტიომკინსკაიას შუა მთავრდება გამომრთველი ავტომატების დადგმა ელექტროფარნებზე. ადამიანის მონაწილეობის მიუღებლად საღამოს ისინი ჩართავენ და დილით გამორთავენ შუქს ტივტივებზე. სანავიგაციო ვითარების მეთვალყურეობის გარდა, სალოცმაისტეროს მუშაკები 30 პუნქტზე მეტ ადგილას ადევნებენ თვალყურს ახალი ზღვის წყლის რეჟიმს. მათ უკვე აღმოაჩინეს საინტერესო მოვლენა: ძლიერ ქართან დაკავშირებით წყლის აწევ-დაწევა. ამ გარემოებამ აიძულა ციმლიანსკის სალოცმაისტეროს მუშაკები გულდასმით ედევნებინათ თვალყური ქარის მიმართულებისა და ძალისათვის წყალსაცავის რაიონში. ახლა წარმოებს დაკვირვების მასალების დაგროვება და შესწავლა.

დღისით და ღამით გემებს გახსნილი აქვთ გზა ციმლიანსკის ზღვაზე. ლოცმანებს და კაპიტნებს მტკიცედ დაჰყავთ ისინი ახალი სანაოსნო გზით და ვადაზე მიჰყავთ მგზავრები და დატვირთული კარჭაპების ქარავნები.

## 2.147 ტელევიზორი ერთ რაიონში

**მიტიშჩი** (მოსკოვის ოლქი), 12 აგვისტო. (საკდესი). რადიო და ტელევიზია მტკიცედ შევიდა მიტიშჩის რაიონის მშრომელთა ყოფაცხოვრებაში. აქ დადგმულია 2.147 ტელევიზორი და 15 ათასი რადიომიმღები. მარტო მიმდინარე წელს რაიონის მცხოვრებლებმა შეიძინეს 975 ტელევიზორი.

## გაზსადენი ჰიდრომშენებელთა დაბაში

**კუიბიშევი**, 11 აგვისტო. (საკდესი). დამთავრებულია გაზსადენის პირველი ხაზის მშენებლობა კუიბიშევის ჰესის მშენებლობაზე. მშენებლებმა დიუკერი გაიყვანეს ვოლგის ფსკერზე, შეადუღეს და ტრანშეებში ჩააწყეს 30 კილომეტრი მილები მდინარის მარცხენა ნაპირზე დაბა კომსომოლსკამდე. ახლა გაზსადენი გამოცდის პროცესშია.

ეწყობა გაზსადენის მეორე ხაზი ვოლგის მარჯვენა ნაპირზე ჟიგულევსკის ჰიდრომშენებელთა დაბამდე.

## კამჩატკის მიწების ათვისება

**კამჩატკის პეტროპავლოვსკი**, 11 აგვისტო. (საკდესი). კამჩატკის ოლქის უდიდეს ტერიტორიაზე გაჩაღდა სამუშაოები მიწის დიდი მასივების ასათვისებლად. ნახევარკუნძულზე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მუშაობას შეუდგა ხაბაროვსკიდან ჩამოსული პირველი საპროექტო-საძიებო პარტია. ოლქში ამას წინათ შექმნილი ორი სამანქანო-სამელიორაციო სადგური უახლოესი სამი წლის მანძილზე ამოაშრობს და ამოძირკავს 40 ათასამდე ჰექტარ დაჭაობებულ და ტაიგის მიწებს. აქ მოდის დიდძალი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა—ტრაქტორები, ბულდოზერები, თხრილამომღებები და სხვა მანქანები; დაიწყო საცხოვრებელი სახლების, სარემონტო სახელოსნოებისა და საწყობების მშენებლობა.

# სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

## ბულგარელი მშრომელები იბრძვიან წყალსაცავთა და სარწყავ სისტემათა მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის

**სოფია**, 11 აგვისტო. (საკდესი). შესანიშნავი მაგალითი ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის არხის მშენებლებისა, რომლებმაც უმაგალითო მოკლე ვადაში შეძლეს მსოფლიოში უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობის დამთავრება, აღაფრთოვანებს ბულგარელ მშრომელებს წყალსაცავთა და სარწყავ სისტემათა მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის საბრძოლველად.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს „ეზეროვოს“ (პირველი მაისის ოკოლია) წყალსაცავის აგება. იგი მორწყავს 2.500 ჰექტარ ნოყიერ მიწას. წყალსაცავის მშენებლობაში მონაწილეობენ შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობების წევრები და მშენებლობის რაიონში მდებარე სოფლების ერთპიროვნული გლეხები.

ვოლგადონელთა მაგალითს ბაძავენ სტალინის სახელობის წყალსაცავის — ბულგარეთში სოციალიზმის დიადი მშენებლობის მშენებლები. ათობით საწარმოო ბრიგადა, რომლებიც დიდი წყალსაწნევი გვირაბის აგებაზე მუშაობენ, ეჯიბრება ერთმანეთს „ვოლგადონელის“ საპატიო სახელის მოპოვების უფლებისათვის.

## რუმინეთში ზეიმით გაიხსნა გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის თბოელექტროსადგურის პირველი რიგი

**ბუქარესტი**, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, რუმინეთში უდიდესმა დოიჩეშტის გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის თბოელექტროსადგურმა რამდენიმე დღის წინათ დენი მისცა ბუქარესტის სამრეწველო საწარმოებს, ქალაქ სტალინს და პრახოვის ველს.

გუშინ ზეიმით გაიხსნა ელექტროსადგურის პირველი რიგი, რომელიც აგებულია საბჭოთა სპეციალისტების უშუალო დახმარებით.

ზეიმს დაესწრნენ დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის წევრები, მთავრობის, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მრავალი მშრომელი.

ელექტროსადგურის მშენებელთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს თბოელექტროსადგურის მთავარმა ინჟინერმა ვ. ალექსანდრესკუმ, სტახანოველმა შტეფან ბარბულესკუმ. ისინი მხურვალე მადლობას უძღვნიდნენ საბჭოთა ხალხსა და პირადად ამხანაგ სტალინს სოციალიზმის მშენებლობაში რუმინელი მშრომელებისადმი ძმური დახმარებისათვის.

საზეიმო მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს მთავრობისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერს გ. გეორგიუ-დეჟი. დეპეშაში ნათქვამია:

ახალი თბოელექტროსადგურის ამუშავება რუმინელი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის თვალსაჩინო დამადასტურებელია. დოიჩეშტის თბოელექტროსადგური მოგვცემს მთელი იმ ელექტროენერგიის მესამედს, რომელსაც ამჟამად რუმინეთის ყველა ელექტროსადგური იძლევა, იგი ენერგიით მოამარაგებს მრეწველობას, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას, ბუქარესტის ოლქის ქალაქებსა და სოფლებს, პრახოვის ველსა და ქალაქ სტალინს.

დოიჩეშტში აგებული თბოელექტროსადგური, ხაზგასმით აღნიშნულია დეპეშაში, წარმოადგენს ლენინ-სტალინის დიადი იდეების განხორციელებას, ელექტროფიკაციის დარგში საბჭოთა კავშირის გამოცდილების გამოყენების შედეგს, გამოცდილებისა, რომელიც რუმინელ ხალხს აღაფრთოვანებს შრომითი გმირობისათვის და რომელიც ძვირფასი სახელმძღვანელო გახდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელექტროფიკაციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ

როდესაც მექანიკური საამქროს ხარატმა პავლე ზუბრიცკიმ წინადადება შეიტანა სახარატო დაზგებზე ბერკეტების ავტომატურად გადართვის შესახებ, რაც ორჯერ მეტ დროსა და ძალას დაიზოგინებდა დაზგაზე მომუშავეს, ქარხნის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი მას სკეპტიკურად შეხვდა. ნოვატორმა ხარატმა დახმარებისათვის ტექნიკურ განყოფილებას მიმართა.

— წარმოადგინეთ ნახაზები საკონსტრუქტორო ბიუროში, იქნებ მართლაც გამოგივიდეთ რამე, — გულგრილად უთხრა ზუბრიცკის განყოფილების უფროსმა ამხ. ვ. კოლოსოვსკიმ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ზუბრიცკიმ მართლაც წარადგინა ნახაზები, მაგრამ საკონსტრუქტორო ბიუროში ნოვატორს გულცივად შეხვდნენ: დატოვეთ, ამ დღეებში განვიხილავთო, უთხრეს.

„ამ დღეებმა“ ექვს თვეს გასტანა. მაგრამ ერთი შეხედვით მეტად წყნარი და მოკრძალებული ახალგაზრდა ხარატი საოცრად „ჯიუტი“ გამოდგა. მან აღარ დაუცადა დირექციის გადაწყვეტილებას და საკუთარ დაზგაზე განახორციელა თავისი გამოგონება. მისი ნახაზები კი კვლავ ხელუხლებლად ეწყო საკონსტრუქტორო ბიუროში. გამომგონებელთან დირექციის ასეთი ბიუროკრატიული დამოკიდებულების ამბავი რომ გაიგო, ქარხნის პარტბიურომ (მდივანი ამხ. თ. დავითაშვილი) დაუყოვნებლივ განიხილა ეს საკითხი და საქმის გაჭიანურებისათვის მკაცრი პასუხი მოსთხოვა ტექნიკური განყოფილების უფროსს კოლოსოვსკისა და საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს კომუნისტს გ. ბენდუქიძეს. ბიურომ გამოჰყო აგიტატორები ზუბრიცკის გამოგონების პოპულარიზაციისათვის. თვით ამხ. ზუბრიცკი ხშირად აკეთებს საამქროებში მოხსენებებს თავისი ნოვატორული გამოცდილების შესახებ, პრაქტიკული მაგალითებით უჩვენებს მუშებს გამოგონების უპირატესობას.

— წინათ დეტალების გამოჩარხვას საათები სჭირდებოდა,—უყვარს ხოლმე თქმა ამხ. ზუბრიცკის, — ახლა კი წუთებს ვანდომებთ.

ამხ. ზუბრიცკი დღეს უკვე 7 გამოგონებისა და მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

მოყვანილი მაგალითით როდი ამოიწურება თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის როლი ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებაში. ქარხნის კომუნისტები მტკიცედ იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის. ქარხანაში ოცდახუთი ნოვატორია, აქედან ნახევარზე მეტი კომუნისტია, მათ შორის ამხ. პ. ზუბრიცკი, იმავე საამქროს მრანდავი ბ. ჩიტაიშვილი, ხარატები ა. აგაჯანოვი, ვ. ბაქრაძე და სხვები. მათი დახმარებითა და ნოვატორულ მოძრაობაში ჩაბმული მოწინავე ადამიანების მტკიცე მხარდაჭერით ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ფართოდ აწყობს საამქროებში ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებას. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში პარტბიურომ რამდენიმე სპეციალური სხდომა მიუძღვნა ამ საკითხს. მისივე ინიციატივით ხშირად იწვევენ თათბირებს, რომლებზეც განიხილავენ ტექნიკისა და შრომის მეთოდების გაუმჯობესების უახლეს წინადადებებს, მათი ქარხანაში დანერგვისა და გავრცელების საკითხებს.

ქარხანაში არსებობს ნოვატორთა და რაციონალიზატორთა ახალი გამოგონებებისა და შრომის მოწინავე მეთოდების გამავრცელებელი ტექნიკური საბჭო. იგი სისტემატურად განიხილავს საამქროების ტექნიკურ სიძნელეებთან დაკავშირებულ საკითხებს და პარტორგანიზაციის მითითებით გზავნის იქ ქარხნის ცნობილ ნოვატორებს, რომლებიც ადგილზე, პრაქტიკული მაგალითებით უჩვენებენ და ასწავლიან მუშებს თავიანთ გამოცდილებას.

ქარხანაში ხშირად იმართება ამ საკითხზე საგანგებოდ გამოყოფილ აგიტატორთა საუბრები. ქარხნის კედლის გაზეთის „კიროველის“ ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება წერილები ქარხნის ნოვატორებისა და მათი მუშაობის შესახებ.

მაგრამ ქარხნის პარტორგანიზაციას ჯერ კიდევ აქვს ნაკლი ამ საქმეში. ზოგიერთ შემთხვევაში პარტბიუროს დადგენილება ამ საკითხზე მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ქარხანაში ზოგიერთმა ნოვატორულმა წამოწყებამ და გამოგონებამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა სათანადო გავრცელება.

ქარხნის პირველმა ჩქაროსანმა ხარატმა ამხ. ა. აგაჯანოვმა ამ ორი წლის წინათ სახარატო დაზგის თვითცენტრული ვაზნის მექანიკური მომჭერი ავტომატური მომჭერით შეცვალა. ამ გამოგონებით აგაჯანოვმა მიაღწია იმას, რომ ვაზნაში ჩადგმული დეტალის დამაგრება, რაც აქამდე ხელით კეთდებოდა, და რაზეც მუშა ორჯერ მეტ ძალას ხარჯავდა, ახლა ავტომატურად, მხოლოდ ელექტროღილაკზე თითის დაჭერით წარმოებს, ხოლო ვაზნის გარშემო მორგებული თუნუქის ფარი კი მუშას არიდებს რკინის ნათალს, რომელიც მას მანამდე სახეში ეყრებოდა. ამ გამოგონებამ აგაჯანოვს საშუალება მისცა ორჯერ მეტად დაეზოგა დროც და სამუშაო ძალაც. აგაჯანოვის გამოგონების უპირატესობა ვაზნის ძველი კონსტრუქციის მექანიკურ მომჭერთან აშკარაა, ეს აღიარა და მოიწონა ქარხანაში სტუმრად მოსულმა ცნობილმა ჩქაროსანმა ხარატმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ბიკოვმაც. მიუხედავად ამისა დღემდე ქარხანაში მისი გამოგონებით მხოლოდ ორი-სამი კაცი სარგებლობს.

ქარხნის პარტბიურო პასიურად ეკიდება აგრეთვე ტექნიკური მეცნიერების მუშაკებთან კავშირის დამყარებისა და განმტკიცების საქმეს. ამ საქმეში ბრალი მიუძღვით კიროვის სახელობის თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და მეცნიერებათა აკადემიასაც.

ქარხნის მუშები დიდად არიან დაინტერესებული შრომის უკეთ მოწყობით, ახალი მეთოდების დანერგვით. მუშები ისწრაფვიან გაიგონ რაიმე ახალ რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რომელიც ამა თუ იმ მუშამ წამოაყენა, ამ წინადადების მნიშვნელობასა და ღირსებაზე.

— აი კომკავშირელი ბაკიძე,—მოგვითხრობენ მუშები, — სულ რამდენიმე კვირაა, რაც დაზგებთან დადგა და უკვე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. საქმე ის არის, რომ დაზგების აწყობის დროს ქანჩიკების მოჭერისას ჩვენ ორ ქანჩს ვხმარობთ: დიდს დიდი ქანჩიკისათვის და პატარას უფრო მცირე ქანჩიკისათვის, ბაკიძემ კი წინადადება წამოაყენა — დაგვეყენებინა მხოლოდ მცირე მოცულობის ქანჩიკები, ამით კაციც განთავისუფლდება დიდი ქანჩისაგან და ქარხანაც ლითონის ეკონომიას გასწევს. ერთი შეხედვით თითქოს არაფერია, მაგრამ სინამდვილეში ამ წინადადებას დიდი მნიშვნელობა აქვს, — და ამ სიტყვების შემდეგ არ შეიძლება არ დაუმატონ დაუფარავი სიამაყით, — არა, ჩვენ საუცხოო, ნიჭიერი ადამიანები გვყავს ქარხანაში, ბევრ რამეს ისწავლის მათგან კაცი.

დიახ, შესანიშნავი ადამიანები ჰყავს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას! მხოლოდ საჭიროა, რომ ქარხნის დირექცია და თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი დაეხმარონ ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებასა და პოპულარიზაციაში, ნოვატორული აზრის შემდგომ განვითარებაში.

ა. კუსრაშვილი.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

**ბათუმი,** 12 აგვისტო, (საქინფორმი). გაიმართა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. ნ. ნიჟარაძე გაათავისუფლა აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან და გამოიყვანა ბიუროს შემადგენლობიდან, რადგან მან თავი ვერ გაართვა სამუშაოს.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად აირჩია ამხ. ა. მ. ბერიძე, ხოლო ამხ. მ. გ. ეკიზაშვილი — საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად და დაამტკიცა ისინი ბიუროს წევრებად.

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲢᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲡ

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ შეაჯამეს მეშახტეთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგები. სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია წელს მეორედ მიაკუთვნეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტს (მმართველი ა. ლაბახუა, მთავარი ინჟინერი ფ. ნაჭყებია).

ამავე ტრესტის ბერიას სახელობის შახტს (უფროსი ამხ. რევიშვილი, მთავარი ინჟინერი ამხ. ბოცვაძე) მეხუთედ მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. მეორე პრემია მიეკუთვნა ახიბლარის შახტს (უფროსი ამხ. ჭირაქაძე, მთავარი ინჟინერი ამხ. წამალაშვილი).

უბნებს შორის ყოველთვიური საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მეოთხედ მიეკუთვნა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის პირველ უბანს (უბნის უფროსი ამხ. შოთაძე, პარტორგი ამხ. გიორგობიანი).

მესამე ფულადი პრემია მიეკუთვნა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ახიბლარის შახტის პირველ უბანს (უბნის უფროსი ამხ. [illegible]).

# ᲒᲐᲕᲐᲫᲚᲘᲔᲠᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲛᲞᲘ

## ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ

**კაჭრეთი.** (სპეც. კორ.). რაიონში ბევრგან პურის მოსავალი განსაკუთრებით კარგია. სოფელ ჯიმითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის გ. შიშნიაშვილის ბრიგადაში 17 ჰექტარი ფართობის თითეულ ჰექტარზე მიღებულია 35 ცენტნერი ხორბალი. ხორბლის უხვი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე სოფელ ლამბალოს, იორ-მუღანლოს, მელაანის, კაჭრეთის და სხვა კოლმეურნეობებში.

ბადიაურის მტს-მა მომკა 6.030 ჰექტარი და ამრიგად მოსავლის აღების გეგმა დიდი გადამეტებით შეასრულა. კომბაინერებმა შ. ალუდიშვილმა და ს. ოთიაშვილმა მოსავლის აღების გეგმას თითქმის ერთიორად გადააჭარბეს. მნიშვნელოვანი წარმატება გვიჩვენეს კაჭრეთის მტს-ის კომბაინერებმაც ი. გეთიაშვილმა, ვ. ქართველიშვილმა, ხ. თევდორაშვილმა.

კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა უკვე შესრულებული აქვს. მარტო იორ-მუღანლოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ, გათვალისწინებული 835 ტონის ნაცვლად, სახელმწიფოს 900 ტონა ხორბალი ჩააბარა. ასეთი მოწინავე კოლმეურნეობა რაიონში მრავალია.

უხვი მოსავლის მისაღებად „ზაგოტზერნოს“ მიმღებმა ბაზამ ბადიაურში დამატებითი საწყობი ააგო. მართალია, ყოველდღიურად აქ მარცვლეულის მიღებასთან ერთად ათეულ ტონობით ხორბლით იტვირთება ვაგონები და იგზავნება დანიშნულებისამებრ, მაგრამ ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. ხორბლის შეუფერხებელი გადაზიდვისათვის ბადიაურის ბაზას რკინიგზა საკმაო რაოდენობით ვერ აწვდის ვაგონებს, რაც შეუწყნარებელია.

მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში ცალკეული კოლმეურნეობები და კომბაინერებიც ჩამორჩნენ. სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. მათიაშვილი) ვერ უზრუნველყვეს ვერც მუშახელის, ვერც კომბაინის მაღალნაყოფიერად გამოყენება. პურის აღება ჩამორჩა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ ზიარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაშია. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. მამისაშვილს რატომღაც ნაკლებად აღარდებს, რომ დაბალია შრომის დისციპლინა.

ცუდი მუშაობის ფაქტები სხვაგანაც გვხვდება. კომბაინერ ი. შავლიაშვილს სოფელ ჯიმითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში „კომუნარით“ მხოლოდ 100-მდე ჰექტარი აქვს აღებული. ჩამორჩნენ აგრეთვე კომბაინერები ი. ჯაფოშვილი, ა. ქუფარაშვილი, ვ. ჯამაგიძე და სხვები. კომბაინების სუსტ მუშაობაში ბრალი მტს-საც მიუძღვის. მოცდენები გამოწვეულია კომბაინების ცუდად შეკეთებით.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნაკლები ყურადღება ექცევა დანაკარგებთან ბრძოლას. ზიარის, კაკაბეთის, არაშენდის, ლამბალოს კოლმეურნეობებში დიდ ფართობებზე მოსავალი კარგა ხანია აიღეს, თავთავი კი ბევრგან არ აუკრეფიათ.

რაიონში ასევე ხშირად გვხვდება კოლმეურნეობები, რომლებმაც დაარღვიეს პურის ჩაბარების გრაფიკი. ჭიანურდება ხორბლის ჩაბარება ჩალაუბნის, მელაანის, ზიარის, დუზაგრამის და სხვა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მოუქნელი მუშაობის მიზეზით.

დრო არ ითმენს. პურეულის დანაკარგის მთლიანად აღკვეთა, თითეული კომბაინის, სალეწი მანქანის სრული დატვირთვით გამოყენება — ასეთია კაჭრეთელთა ამოცანა.

## ᲣᲧᲐᲘᲠᲐᲗᲝᲑᲐ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲛᲙᲐᲨᲘ

**ხაშური.** (საკ. კორ.). ჭიანურდება მკა, ლეწვა და პურის დამზადება ხაშურის რაიონში. ეს ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მთელი ძალები არ არის მობილიზებული მოსავლის აღების სამუშაოებისათვის, ცუდად არის მოწყობილი შრომა. შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი გამოყენებული არ არის მკაში, სუსტად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და საგიტაციო მუშაობა. პარტიის ხაშურის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და მტს-ებს.

სოფელ ქინძათის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში პურის მკაზე მომუშავე კოლმეურნეთა უმრავლესობა დღიურ დავალებას ვერ ასრულებს. ჩამორჩენილია მომკილი ყანის დაფოცხვა და ძნებად შეკვრა. ყურადღება არ ექცევა დანაკარგებს, დაბულულებულ და თავთავებისაგან გაუწმენდავ ნაკვეთებში პირუტყვია შეშვებული. ჭიანურდება ლეწვა. 24 კალოს ნაცვლად მხოლოდ 12 მოაწყეს. მინდვრად არ წარმოებს საგიტაციო მუშაობა, არ გამოდის საველე ფურცლები. კოლმეურნეობა ჩამორჩა პურის ჩაბარებაში.

ანალოგიური მიზეზების გამო თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებასა და პურის ლეწვაში ჩამორჩება სოფელ წრომის, წაღვლის, ბრილისა და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

ჩამორჩენა იმითაც არის გამოწვეული, რომ ხაშურისა და გომის მტს-ების ყველა კომბაინი არ მუშაობს სრული დატვირთვით, რის გამო ბევრი მათგანი ვერ ასრულებს დღიურ დავალებას. მაგალითად, გომის მტს-ის კომბაინერმა მ. სალარიძემ წრომის კოლმეურნეობაში 14 სამუშაო დღეში „კომუნარით“ მოსავალი აიღო მხოლოდ 85 ჰექტარზე. სამუშაო ნორმებს ვერ ასრულებენ კომბაინერები ა. მურჯიკნელი და უ. მოსიაშვილი, ხაშურის მტს-ის კომბაინერი გ. ლომიძე.

პურის ლეწვაზე სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული სალეწი მანქანები. სოფელ ქემფერის კოლმეურნეობაში ხაშურის მტს-ის (დირექტორი ამხ. გ. გაგნიძე) სალეწი მანქანა 8 დღეს უქმად იდგა. ამავე მტს-მა ცუდად შეკეთებული სალეწი მანქანა გაგზავნა სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობაში, რის შედეგადაც მანქანა ნახევარჯერ უქმად დგას, ხოლო, როცა მუშაობს, მაშინაც ვერ ასრულებს ლეწვის დავალებას და დიდი დანაკარგები აქვს.

აუცილებელია კოლმეურნეობების მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის უმოკლეს ვადაში აღებისათვის, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხელსაყრელი ამინდები. პარტიის ხაშურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უფრო კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებს მოსავლის აღებაში.

## ᲠᲐᲢᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ ᲚᲔᲬᲕᲐ

**კასპი.** (საკ. კორ.). სოფელ იგოეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ 323 ჰექტარზე აიღო პურეული. მოსავალი აღებულია კომბაინით და ხელითაც. მოწინავე კოლმეურნეები ტ. ჩადუნელი, ნ. ვალიშვილი, ა. ხუციშვილი, შ. ჩადუნელი პურის მკის დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ. კოლმეურნეობამ 312 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 330 ტონა პური ჩააბარა. წარმატებით მიმდინარეობს ლეწვა. შეუფერხებლად მუშაობს კალოები. კოლმეურნეები ამავე დროს ამზადებენ სათესლე ხორბალს საშემოდგომო თესვისათვის.

რაიონში პურის მკაზე ბევრმა კომბაინერმა გაითქვა სახელი. კასპის მტს-ის კომბაინერმა ო. გუგულაშვილმა თვითმავალი კომბაინით მოსავალი აიღო 208 ჰექტარზე. მ. გოჭოშვილმა „სტალინეც-6“-ით 263 ჰექტარი მომკა.

მაგრამ რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა აჭიანურებს მკას, ლეწვას და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. ასეა, მაგალითად, სოფელ ჩობალაურის კოლმეურნეობაში. აქ ნაწილების დაზიანების გამო სალეწი მანქანა ხშირად ჩერდება. კოლმეურნეობის გამგეობა გადამჭრელ ზომებს არ იღებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. დიდი შეფერხებით მუშაობს ქვემო ჭალის კოლმეურნეობაში სამთავისის მტს-ის კომბაინი, რომელსაც ს. მაჭარაშვილი მართავს. 22 დღეში კომბაინერმა ძლივს შეძლო 36,5 ჰექტარის მომკა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სალეწი მანქანები. ამიტომ არის, რომ სამთავისის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში პურის ლეწვა ჩამორჩა. ოთხი სალეწიდან ნორმალურად მხოლოდ ერთი მუშაობს. სოფელ ლამისყანაში 10 დღეზე მეტია უმოქმედოდ დგას სალეწი მანქანა. თეზის კოლმეურნეობაში სალეწმა მანქანამ ორი კვირის განმავლობაში მხოლოდ ერთი ჰექტარის მოსავალი გალეწა. მტს-ის მოძრავი სახელოსნო ცუდად მუშაობს. დირექციამ მოსავლის აღების საქმეში სათანადო ტემპი ვერ აიღო, კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს.

კასპის მტს-ის კომბაინერები ა. კვესიაშვილი, ვ. აზმაიფარაშვილი და ხ. ყარაშვილი მკის ყოველდღიურ დავალებას სანახევროდაც ვერ ასრულებენ.

პურის მკაზე ტექნიკის გამოუყენებლობა შეუწყნარებელია.

# ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ

საკოლმეურნეო მინდვრებზე მაღალნაყოფიერი შრომით მოსავლის აღების საქმეში დაწინაურდა შირაქელი მექანიზატორი კომუნისტი ივანე მელიქიშვილი. იგი მეექვსე წელია ინარჩუნებს მტს-ის გარდამავალ წითელ დროშას.

მელიქიშვილი გაზეთების საშუალებით გაეცნო წარჩინებული კომბაინერების რუისელი იოსებ ტიტვინიძის და ალაზნელი მიხეილ ლაზარიაშვილის მუშაობის გამოცდილებას, მხარი დაუჭირა მათს თაოსნობას — მოწყობილიყო მოწინავე კომბაინერების გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

წელს ი. მელიქიშვილმა ტრაქტორისტის მ. ბუქურისა და მეშტურვალე გ. გოგიშვილის დახმარებით „სტალინეც-6“ კომბაინით უკვე მომკა 400-მდე ჰექტარი, როცა გეგმა სეზონში 280 ჰექტარის მომკას ითვალისწინებდა, გალეწა 800 ტონაზე მეტი ხორბალი და კვლავ ენერგიულად განაგრძობს მუშაობას.

მოწინავე მექანიზატორის წარმატების საფუძველი ის არის, რომ იგი ყველა დავალებას დაკვირვებით, საქმის ცოდნით და მონდომებით ასრულებს, კარგად აქვს შესწავლილი როგორც კომბაინი და ტრაქტორი, ისე ყველა ის ნაკვეთი, სადაც მას მოსავლის აღება უხდება. ეს ნაკვეთები გასულ წელს თვით ამხ. მელიქიშვილის ბრიგადის მიერ არის მოხნული და დათესილი. მანვე მოაწყო გაზაფხულზე მათი დამატებითი გამოკვება და დაფარცხვა.

ი. მელიქიშვილი კომბაინისა და ტრაქტორის რემონტს უკეთებს ზამთარშივე. საჭირო ზომას იღებს იმისათვის, რომ მანქანის ყველა ნაწილი იყოს საიმედო და წესიერ მდგომარეობაში, ამასთან იმარაგებს ხელსაწყო-იარაღებს, ყველაფერს, რაც მუშაობისათვის აუცილებელია.

მოსავლის აღების დაწყებამდე 15 დღით წინ კომბაინერმა მემინდვრეობის ბრიგადირთან ერთად შეამოწმა ასაღები ფართობები, 10 დღით ადრე კი კომბაინი მიიყვანა იქ, სადაც მუშაობა უნდა დაეწყო. ამავე დროიდან მექანიზატორმა უზრუნველყო ასაღები ფართობის შემოთიბვა და მომზადება.

პურეულის შემოსვლის დრო განსაზღვრეს კოლმეურნეობისა და მტს-ის ხელმძღვანელებმა აგრონომთან, მემინდვრეობის ბრიგადირთან და კომბაინერთან ერთად. მტს-ის დირექციამ ი. მელიქიშვილთან ერთად ნაკვეთების გაცნობა-დათვალიერების შემდეგ კოლმეურნეობასთან შეთანხმებით შეადგინა კომბაინის მუშაობის გეგმა-მარშრუტი. მექანიზატორთან შეთანხმებით კომბაინის აგრეგატისათვის დამხმარედ კოლმეურნეობამ გამოჰყო 30 კოლმეურნე—საწვავისა და წყლის მიმწოდებლები, ბუნკერის დამცლელები, თავთავის ამომკელები და ამკრეფები, მწონავები, გამნიავებლები, დარაჯები, მეხანძრეები და სხვ.

მკის დაწყებამდე ყოველ დილით ი. მელიქიშვილი პირადად ამოწმებს თავისი აგრეგატის, განსაკუთრებით ძრავის, თავთავის მიმღები კამერის, გამლეწი დოლის მზადყოფნას, პირადად უზრუნველყოფს სამაგრების, ქანჩიკების მოჭერას, ტრაქტორისტისა და მეშტურვალის საშუალებით ზეთავს ნაწილებს, იმარაგებს წყალს, საწვავს. აგრეგატის მომზადება დილის 7 საათისათვის ყოველთვის დამთავრებული აქვს.

მკას ჩვეულებრივად დილის 7 საათზე, ზოგჯერ კი უფრო ადრეც იწყებს და საღამოს 8 საათამდე აგრძელებს. შემდეგ ერთი საათის განმავლობაში მეორდება აგრეგატის ტექმოვლის იგივე სამუშაოები, რაც დილით შესრულდა. 9 საათზე აგრეგატი ისევე იწყებს მკას და მუშაობს ნაშუაღამევის 3-4 საათამდე. მუშაობის მიმდინარეობის პერიოდში აგრეგატის წევრები მორიგეობით ისვენებენ.

როგორც წესი, კომბაინერი თავის თანაშემწეებთან ერთად ყოველ დილით აწყობს 10-15 წუთიან საწარმოო თათბირს, არკვევს ნაკლოვანებებს და იღებს ზომებს მათ გამოსასწორებლად.

კომბაინერი დანაკარგის მინიმუმამდე შესამცირებლად პურს ძალიან დაბლა, 4-5 სანტიმეტრის სიმაღლეზე მკის, რაც პირუტყვისათვის მეტი საკვების დაგროვებასაც უწყობს ხელს.

საათობრივი გრაფიკით მუშაობისათვის თითეული ნაკვეთი კომბაინერს დაყოფილი აქვს 1-2 კილომეტრამდე სიგრძისა და ამდენივე სიგანის საქცევებად. აღების ტემპის დაცვისათვის ყოველ შემოვლაზე კომბაინერი ამოწმებს როგორც მომკილი ფართობის სიდიდეს, ისე მარცვლის გამოსავლიანობას, ამასთან, თუ ჩამორჩენაა, იღებს ზომებს მუშაობის დაჩქარებისათვის.

ი. მელიქიშვილის მიერ წინასწარ მიღებული ზომების შედეგად ბუნკერის დაცლა ყოველთვის კომბაინის გაუჩერებლად ხდება. ამით კომბაინერი დღეღამეში 2-3 სამუშაო საათს იგებს და ყანასაც მეტი რაოდენობით მკის.

მან რაციონალიზატორული ღონისძიებანი განახორციელა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. მარცვალი ბზეს რომ არ გაჰყვეს და საერთოდ შემცირდეს დანაკარგი, კომბაინერმა პირველი ცხავის ზომა 15-20 პროცენტით გაზარდა.

პირველ წმენდაში მარცვლის ჩქარა ჩასვლისათვის კომბაინერის მიერ ნამჯის ელევატორის ბრუნვა შემცირებულია 10-15 პროცენტით. ამის შედეგად ნამჯას მარცვალი თითქმის არასოდეს არ გასდევს.

კომბაინერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განსაკუთრებით ადგილობრივი ჯიშის პურის ლეწვის გაადვილებას. ამ მიზნით მან დოლის ბრუნვა 1.400-დან 1.500-მდე აიყვანა.

რადგან ასაღები ყანა სქელი და უხვმოსავლიანია, ამასთან ნაწილობრივ ჩაწოლილია, ი. მელიქიშვილი კომბაინს მეორე სიჩქარეზე ამუშავებს. მიუხედავად ამისა, კომბაინერი ხშირად დღეში 20 ჰექტარს და მეტს მკის, ამასთან წინასწარ მიღებული ზომებისა და გაფრთხილების მეოხებით ერთხელაც არ ყოფილა შემთხვევა, რომ აგრეგატის მუშაობა შეფერხებულიყო.

ტ. თოდრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

# ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

1 აგვისტოს მოსკოვის პუშკინის სახელობის დრამატულმა თეატრმა დაიწყო ახალი სეზონი, რომელიც გაიხსნა დიდი რუსი დრამატურგის ა. ოსტროვსკის კომედიით «მარჯვე ადგილი».

თეატრი სეზონის პირველ დღეებში უჩვენებს პრემიერას, პოლონელი დრამატურგის ადამ ტარნას პიესას—«ჩვეულებრივი საქმე». სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რსფსრ დამსახურებულ არტისტს ლ. ლუკიანოვს.

## ᲝᲠᲗᲥᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ № 210-68

1.644.000 კილომეტრი გაირბინა № 210-68 ორთქლმავალმა, რომელიც გამოშვებულია კოლომნის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის მიერ 1936 წელს და რომელსაც ჯერ არ დასჭირვებია კაპიტალური შეკეთება.

ორთქლმავლის ასეთი დიდი გარბენა შედეგია მისი უფროსი მემანქანის ვ. ზუევის კარგი მუშაობისა. ამხ. ზუევმა შესანიშნავად მოაწყო ორთქლმავლის მომსახურე ბრიგადების შრომა, მიაღწია გარბენის ნორმის დიდი გადაჭარბებით შესრულებას და 350.000 მანეთის ეკონომიას.

ასეთი სარეკორდო გარბენის შემდეგ ორთქლმავალი სარემონტოდ დააყენეს.

## ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲥᲡᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ

ახალი სასწავლო წლიდან მოსკოვის ოლქში იმუშავებს 3.269 დაწყებითი და საშუალო სკოლა. ამჟამად შენდება 61 ახალი სასკოლო შენობა 23.440 მოსწავლისათვის. აქედან 45 ახალი სასკოლო შენობა სასკოლო ქსელს შეემატება 1 სექტემბრიდან.

ორი დიდი ახალი სასკოლო შენობის აგება მოსკოვში უკვე დამთავრებულია.

## ᲮᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ

მოსკოვში თანდათან ფართოვდება ხილისა და ბოსტნეულის სავაჭრო ქსელი. წელს ქალაქში გახსნილია ხილისა და ბოსტნეულის მრავალი ასი კიოსკი, ფარდული და დუქანი.

მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო დადგენილება ხილისა და ბოსტნეულის ვაჭრობის შემდგომი გაფართოების შესახებ. გადაწყვეტილია, რომ ბოსტნეულის, ბაღჩეულის და ხილის შემოზიდვა ქალაქში მნიშვნელოვნად გადიდდეს და ამასთან სავაჭრო ქსელში ვაჭრობის დრო გახანგრძლივდეს დილის 7 საათიდან ღამის 10 საათამდე. წელს მოსკოვში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით უნდა შემოზიდონ საზამთრო და კარტოფილი.

## ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

მოსკოვში შექმნილია ქალაქის გამწვანების ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება, რომელიც უკვე აერთიანებს 100.000-ზე მეტ წევრს. საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს ნარგავთა გაშენებას, მიაწოდოს ნერგები, გაუწიოს კვალიფიციური კონსულტაცია, აღმოუჩინოს ამ საქმეში საჭირო დახმარება მშრომელებს. ამ საზოგადოების დახმარებით სავსებით გამწვანებულია მცირელიტრაჟიანი ავტომანქანების ქარხნის, ქარხანა «კალიბრის» და მთელ რიგ სხვა საწარმოთა ეზოები.

ახლახან საზოგადოებამ მოაწყო ორიგინალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია მცენარეთა ნერგების ნიმუშები, კასრებში გადატანილი გახარებული მცენარეები, თითქმის ყველა ფერისა და ჯიშის ყვავილები, მთელი კოლექციები მოსკოვის ფლორისა. გამოფენაზე ექსპონატები მოიტანეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის მუშაკებმა, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღიდან, ტიმირიაზევის სახელობას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან, მოსკოვის გამწვანების ტრესტის ორანჟერეებიდან და სანერგეებიდან.

გამოფენა ბევრ მნახველს იზიდავს.

# მზად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

## სახალხო განათლების მუშაკთა გადაუდებელი ამოცანა

მ. ბურჭულაძე
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საკითხი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 29 აპრილს განიხილეს და მიიღეს სათანადო დადგენილება, რომელიც პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ავალებდა 20 აგვისტოსათვის უზრუნველეყოთ სკოლების სრული მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისათვის.

ამ დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მუშაობა. თბილისის, ბათუმის, გორის საქალაქო და ბათუმის, ლანჩხუთის და თელავის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დროზე განიხილეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხები, დასახეს სათანადო ღონისძიებანი და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს.

რესპუბლიკის სკოლების ერთ ნაწილს (თბილისის, ქუთაისის, გორის, ბათუმის, თელავის, წყალტუბოს და ლანჩხუთის რაიონები) უკვე დაზუსტებული აქვს მოსწავლეთა ძირითადი კონტინგენტი, სხვადასხვა დროს სწავლებას ჩამოშორებულ და სკოლებში დასაბრუნებელ ბავშვთა სიები. მასწავლებლები ზაფხულის პერიოდში საზოგადოებრივი დავალების სახით საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობენ და ორგანიზებულად იბრძვიან აკადემიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის. ამ მხრივ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის წარმატებით მუშაობს მახარაძის ქალთა პირველი (დირექტორი მ. თავართქილაძე), ქუთაისის რაიონის ქვიტირის (დირექტორი კ. ბეგლარიძე), თელავის ვაჟთა პირველი (დირექტორი ნ. გურგენიძე), სტალინირის ვაჟთა პირველი (დირექტორი კასრაძე) და ჩოხატაურის საშუალო სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა.

მიუხედავად ამისა, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი: არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ახალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტის დაზუსტება. ბევრ სკოლაში მასწავლებლების შვებულებაში წასვლამდე არ ჩატარებულა პირველ კლასებში ჩასარიცხავი, აგრეთვე წინა წლებში სწავლას ჩამოცილებული სასკოლო ასაკის ბავშვთა აღწერა. ახმეტის, ოჩამჩირის, ქობულეთის, ზნაურისა და ჯავის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1 ივლისისათვის არ იცოდნენ პირველ კლასში ჩასარიცხავ მოსწავლეთა რაოდენობა. დუშის საშუალო სკოლის დირექტორს ე. ქორქოლიანს მის სკოლაზე მიმაგრებული ექვსი დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლიდან ცნობებიც კი არ ჰქონდა მიღებული მეოთხე კლასდამთავრებულ და მეხუთე კლასში ჩასარიცხავ მოსწავლეთა შესახებ. იმის გამო, რომ აღწერის მასალები შედარებული არ იყო საკომლო დავთრებთან, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის საშუალო (დირექტორი ი. შოშიაშვილი) და წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის რვაწლიანი (დირექტორი ვ. ბეგლაროვი) სკოლების პირველ კლასში ჩასარიცხავ მოსწავლეთა სიაში არ აღმოჩნდა 7 წლის ასაკის 14 ბავშვი.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა სახელმწიფოს მისცეს 2.299 სპეციალისტი, რომლებიც თბილისისა და ქუთაისის ოლქების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების მიერ უკვე განაწილებული არიან სკოლებში სამუშაოდ, ჩვენი სკოლები ჯერ კიდევ განიცდიან კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრების ნაკლებობას, განსაკუთრებით რუსულ ენასა და ლიტერატურაში, აგრეთვე მათემატიკაში. მარტო სიღნაღის რაიონის სკოლებს აკლიათ ფიზიკა-მათემატიკის 14, რუსული ენისა და ლიტერატურის 12 და უცხო ენის 4 მასწავლებელი. ასეთივე მდგომარეობაა რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონშიც.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში (ქობულეთი, ზუგდიდი, ახალციხე) განათლების ორგანოები და სკოლის ხელმძღვანელები ხშირად სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობას. ქუთაისის რაიონის სკოლების 7.899 მოსწავლიდან საშემოდგომო გამოცდა მიეცა 1.628 მოსწავლეს. ამ მოსწავლეებს ზაფხულის პერიოდში სკოლების უმრავლესობა არავითარ დახმარებას არ უწევს.

რვაწლიანი და საშუალო სკოლების, საბავშვო სახლებისა და საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტისათვის და სასკოლო ავეჯის შეძენა-შეკეთებისათვის წელს მთავრობის მიერ გათვალისწინებულია 29.016 ათასი მანეთი. კაპიტალურად უნდა შეკეთდეს 678 სკოლა და საბავშვო დაწესებულება. მაგრამ ამ მიზნისათვის თანხების ხარჯვა ყველგან როდი იძლევა სასურველ შედეგს. იმ რაიონებში, სადაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ქმედით დახმარებას არ უწევენ განათლების ორგანოებს სკოლების რემონტის საქმეში, სარემონტო კანტორები და კოლმეურნეობათა სამშენებლო ბრიგადები არ აწარმოებენ სკოლების შეკეთებას.

თბილისის ოლქში გეგმით გათვალისწინებული 265 სკოლის ნაცვლად, 1 აგვისტოს ცნობით, კაპიტალური რემონტი მხოლოდ 12 სკოლას გაუკეთდა, მიმდინარე რემონტი კი 1.476 სკოლის ნაცვლად — 60-ს. ქუთაისის ოლქში კაპიტალური რემონტის გეგმა ამავე ვადისათვის 38,5 პროცენტით იყო შესრულებული, ხოლო მიმდინარე რემონტისა — 53,8 პროცენტით. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სკოლების კაპიტალური რემონტის გეგმა 58 პროცენტით შესრულდა, მიმდინარე რემონტისა — 31,3 პროცენტით. აჭარის ასს რესპუბლიკაში კაპიტალური რემონტის გეგმა შესრულებულია 42,9 პროცენტით, მიმდინარე რემონტისა კი — 54,9 პროცენტით, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კაპიტალური რემონტის გეგმის შესრულება 2,7 პროცენტს არ აღემატებოდა.

ზოგ რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალ სასკოლო ნაგებობათა მშენებლობა. მიმდინარე წელს უნდა აიგოს 10 ახალი სასკოლო შენობა, მაგრამ როგორც რემონტის, ისე სასკოლო ნაგებობათა მშენებლობის საქმეშიც შეუწყნარებელი ჩამორჩენაა. სკოლების მშენებლობასა და რემონტს დიდად აფერხებს საშენი მასალის უქონლობა. მომმარაგებელი ორგანიზაციები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს, რის გამო სკოლების მშენებლობა და რემონტი საფრთხის წინაშეა.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სასკოლო ავეჯის დამზადება და შეკეთება. ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებას სასკოლო ავეჯის შეკეთების გეგმა 20 ივნისისათვისაც კი არ ჰქონდა დაზუსტებული.

მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებულია 103 სახელწოდების 1.972.000 ცალი სახელმძღვანელოს გამოცემა. 5 აგვისტოსათვის სახელგამს დაბეჭდილი ჰქონდა 78 სახელწოდების 1.669.000 ცალი სახელმძღვანელო, საქწიგნისათვის გადაცემულია 71 სახელწოდების 1.575.000 ცალი წიგნი. გარდა ამისა რესპუბლიკაში შემოზიდულ უნდა იქნას 82 სახელწოდების 600.000 ცალი რუსული, 75 სახელწოდების 312.928 ცალი სომხური, 70 სახელწოდების 135.989 ცალი აზერბაიჯანული სახელმძღვანელო. ქართული სკოლებისათვის სახელმძღვანელოების გამოცემა იგვიანებს. საჭიროა სახელგამმა მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას 1 სექტემბრისათვის სკოლების ახალი სახელმძღვანელოებითა და პროგრამებით მომარაგება.

მიმდინარე წელს სასწავლო კაბინეტების შესავსებად 788.000 მანეთია გამოყოფილი, მაგრამ სასწავლო კაბინეტები ყველა სკოლაში არ არის სათანადოდ გამოყენებული.

ზოგან არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 18 მარტის დადგენილება სასკოლო მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. სტალინირის რაიონის 98 სკოლიდან მიწის ნაკვეთი მხოლოდ 44 სკოლას აქვს, ზნაურის რაიონში 67 სკოლიდან —21-ს, ჯავის რაიონის 95 სკოლიდან — 6-ს. მიწის ნაკვეთი არა აქვს ბათუმის რაიონის 36 სკოლას, ჩოხატაურის რაიონის—9, ყვარლის რაიონის — 9, სიღნაღის რაიონის — 8 და წითელწყაროს რაიონის 6 სკოლას.

სკოლების ნორმალური მუშაობისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს სათბობი მასალის დროულად მომარაგებას. თბილისის ოლქის სკოლებში 5 აგვისტოსათვის მიზიდული უნდა ყოფილიყო 35.700 კუბმეტრი შეშა, მიზიდულია 5.626 კუბმეტრი, ქუთაისის ოლქის სკოლებში გათვალისწინებული 55.830 კუბმეტრიდან დამზადებულია 7.376; აჭარის ასს რესპუბლიკაში 16.175 კუბმეტრიდან დამზადებულია 7.500, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 20.400 კუბმეტრის ნაცვლად დამზადებულია 662 კუბმეტრი შეშა, სამხრეთ ოსეთში 12.480 კუბმეტრის ნაცვლად მხოლოდ 1.721 კუბმეტრი.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ ამ საქმეს სათავეში არ უდგანან და ჯეროვანი გულისყურით არ ეკიდებიან უწინარეს ყოვლისა თვით სახალხო განათლების ორგანოები. ზოგჯერ განათლების განყოფილებები მხოლოდ გეგმების შედგენით, დადგენილებათა პროექტების მომზადებით და ღონისძიებათა დასახვით კმაყოფილდებიან, არ მიმართავენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დახმარებისათვის, არ ახორციელებენ ცოცხალ ოპერატიულ ხელმძღვანელობას გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად.

სახალხო განათლების ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილი დრო. სახალხო განათლების თვითეულ მუშაკს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ქმედითი დახმარებითა და კონტროლით უზრუნველყოფილ უნდა იქნას ახალი სასწავლო წლის სანიმუშოდ დაწყება.

ჩვენი სკოლის მასწავლებლობა, სახალხო განათლების ყოველი მუშაკი მაღალი შეგნებითა და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საპატიო საქმეს და არ დაზოგოს თავისი ძალღონე, რათა ღირსეულად გაამართლოს პარტიისა და ხელისუფლების დიდი ნდობა ჩვენი მომავალი თაობის ცოდნით შეიარაღებისა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

## სწავლის დაწყების წინ

ტყიბულის რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დროზე გაიშალა. უკვე დამთავრდა 20 სასკოლო შენობის მიმდინარე შეკეთება, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 2 შენობას. სარემონტო სამუშაოები ყველაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრეს ხრესილის, ორპირის, მუხურის, სოჩხეთის და სხვა სკოლებმა. რაიონის სკოლებში შეკეთებულია 1.035 მერხი, 140 დაფა, 125 მაგიდა, 176 სკამი. სასკოლო ბიბლიოთეკები შეივსო 10 ათასი მანეთის მხატვრული, პოლიტიკური და მეთოდური ლიტერატურით. ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის კაბინეტებისათვის შეძენილია 15 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღები.

სკოლების რემონტისა და კეთილმოწყობის საქმეში აქტიურად მონაწილეობენ საშეფო ორგანიზაციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლენინის სახელობის შახტის დახმარება მის ტერიტორიაზე მდებარე რვაწლიანი სკოლისადმი. ლენინის სახელობის შახტი დაეხმარა თავის სკოლას მიმდინარე რემონტის დროზე ჩატარების საქმეში, მოამარაგა იგი საჭირო სათბობი მასალით, შემოღობა სკოლის ეზო, გაიყვანა სასმელი წყალი, სკოლის წინ გააკეთა შადრევანი. კარგად ეხმარებიან თავიანთ სკოლებს ცუცხვათის, ხრესილისა და მუხურის კოლმეურნეობები.

მაგრამ რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ყველაფერი რიგზე როდია. მეშახტეთა ქალაქის მეორე საშუალო სკოლა, სადაც ძირითადად მეშახტეთა ბავშვები სწავლობენ, შეუფერებელ ბინაშია. სასკოლო ოთახების სიმცირის გამო აქ სამწყებად მეცადინეობენ.

მეორე საშუალო სკოლისათვის სამსართულიანი შენობის აგება კარგა ხანია დაიწყო და 1951-1952 სასწავლო წლისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ტყიბულშახტმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველომ თავიდანვე ნელი ტემპი აიღო, შარშან კი მთლიანად მიივიწყა სკოლის მშენებლობა. მართალია, წელს ივლისში მოაგონდათ სკოლისათვის ბინის აგება, ტყიბულშახტმშენის ტრესტიც გადამჭრელ ზომებს იღებს, მაგრამ დარჩენილ დროში საეჭვოა მოესწროს მშენებლობის ახალი სასწავლო წლისათვის დამთავრება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი სკოლისათვის საჭირო ინვენტარის დამზადებას ერთ წელზე მეტია შეუწყნარებლად აჭიანურებს ტყიბულქვანახშირის ტრესტი. ამ ტრესტის სადურგლო სახელოსნოს საწყობში აწყვია 120 ცალი მერხისათვის სანახევროდ გამზადებული ნაწილები. დაფების, მაგიდების, წიგნის კარადებისა და სკამების დამზადებას კი ჯერაც არ შესდგომიან.

ნელი ტემპით წარმოებს სტალინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე მდებარე საშუალო სკოლის შენობის რემონტი. სასწავლო წელი ახლოვდება, გასაკეთებელი კი კვლავ ბევრია. შესაკეთებელია სასკოლო ოთახების კედლები, სკოლის კიბეები, ფანჯრები, ღუმელები, ჩასასმელია მინები და სხვ. სკოლის სარემონტო სამუშაოების გაჭიანურება იმით არის გამოწვეული, რომ შახტისა და ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელები სავალდებულოდ არ თვლიან თავიანთ სკოლაზე მზრუნველობას, არ ეხმარებიან სკოლის ადმინისტრაციას მუშახელით და საშენი მასალებით. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლის მოუმზადებლობას ურიგდებიან და გულდამშვიდებით შესცქერიან რაისაბჭოს აღმასკომი და განათლების განყოფილება.

ზოგიერთ სკოლაში რემონტის ხარისხი დაბალია. ეს პირველ ყოვლისა ითქმის ქალაქის რუსულ რვაწლიან სკოლაზე. იმის გამო, რომ აქ რემონტი გვიან დაიწყეს, ჩქარობენ და ხარისხს ყურადღებას არ აქცევენ.

რაიონის ზოგიერთ სოფლებში შეუწყნარებლად ჭიანურდება სათბობი მასალით სკოლების მომარაგება. ზოგან ეს საქმე სრულიად მივიწყებულია. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ჯვარისისა და ციხია-ბოზოთის სასოფლო საბჭოებში. ამ საბჭოების ტერიტორიაზე მდებარე ხუთი სკოლიდან არც ერთი არ არის მომარაგებული სათბობით.

ახლოვდება ახალი სასწავლო წელი, ხოლო ტყიბულის რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

### ხვანჭკარელთა თაოსნობა

კარგი თაოსნობა გამოიჩინა ხვანჭკარის სასოფლო საბჭომ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გამოვიდეს რაიონის სასოფლო და სადაბო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად.

ხვანჭკარელთა მიმართვა დაბეჭდა ამბროლაურის რაიონულმა გაზეთმა „კომუნარმა“ და მას მიუძღვნა მოწინავე წერილი: „მხარი დავუჭიროთ ხვანჭკარელთა თაოსნობას“. მოწინავე წერილში ნათქვამია:

„...საკოლმეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დიდია ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლი. ყოველდღიურად ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისათვის, სახელმწიფო და სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის სასოფლო საბჭოების საპატიო საქმეა“.

ხვანჭკარელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სინათლის, სხვავის, ლიხეთის და ბუგეულის სასოფლო საბჭოები და თავის მხრივ იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, სახელმწიფო და სამეურნეო გეგმების შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას, მასობრივ-ორგანიზატორული მუშაობის ახლებურად მოწყობას, განათლების, ჯანმრთელობის, სოფლის კეთილმოწყობის საქმეში დეპუტატთა ენერგიულად ჩაბმას...

შემდეგ ხვანჭკარელთა მიმართვაში ვკითხულობთ:

„...ეს შეჯიბრება მიზნად ისახავს საკოლმეურნეო ცხოვრების შემდგომ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას, სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ ზრდას, ამომრჩევლებთან დეპუტატების კავშირის უფრო განმტკიცებას“.

რაიონული გაზეთი ვალდებულია სისტემატურად აშუქებდეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას.

### მდინარე ტანას ხეობაში

გორის ბამბეულის საქსოვი კომბინატის პიონერთა ბანაკი მოწყობილია მდინარე ტანას ხეობაში.

ამ ბანაკის ცხოვრებას გორის საქალაქო გაზეთმა „სტალინელმა“ ამ დღეებში მთელი გვერდი მიუძღვნა. იგი კარგად არის გაფორმებული სურათებით.

დაბეჭდილ ვრცელ წერილში საინტერესოა დღიური № 3, რომელშიც ვკითხულობთ:

„...მეორე საუზმის შემდეგ მოეწყობა პიონერთა თამაში „დროშის ძიება“. ეს ამბავი ყველასათვის სასიამოვნო იყო... გაისმა საყვირის ხმა. ყველა, როგორც ერთი, ანძისაკენ გავრბივართ. ფიზკულტურის მასწავლებელი პატივცემული არჩილ ზაუტაშვილი გვაცნობს ლაშქრობის გეგმას... ვნახოთ, ვინ იპოვის... სიხარულით შევეფინეთ დაბურულ ტყეს. მალე ვიპოვეთ პირველი ისარი, შემდეგ მეორე, მესამე... ბანაკის ტერიტორიიდან ორ კილომეტრზე პიონერმა ბეზნოშენკომ აღმოაჩინა დროშა... დაუვიწყარია ეს დღე. მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი ბავშვობისათვის! დღიური დავწერე ა. გვანცელაძემ“.

წერილში მოთხრობილია ბანაკში მოწყობილი სხვადასხვა წრეების ნაყოფიერ მუშაობაზე, ბავშვთა სისხლსავსე, ჯანსაღ დასვენებაზე.

ამ მასალების დაბეჭდვით გაზეთმა „სტალინელმა“ კარგი სამსახური გაუწია ბამბეულის საქსოვი კომბინატის პიონერებს.

### უკანასკნელი ფოსტიდან

### როგორ მოდის წვიმა ახალციხეში...

გაზეთის ენა და სტილი სადა, გამართული და ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. სამწუხაროდ, ამ ჭეშმარიტებას ხშირად უგულებელყოფს საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანოს—გაზეთ „წითელი დროშის“ რედაქცია.

მხოლოდ ამით თუ შეიძლება აიხსნას, რომ გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში გვხვდება ენობრივად გაუმართავი, უაზრო წინადადებები.

მაგალითი: 20 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ს. გელაშვილის წერილი „დაიწყო თავთავიანი კულტურების აღება“, რომლის ბოლო აბზაცის პირველი წინადადება ასე იკითხება:

„მოსავლის აღების კვალდაკვალ არ ჩატარდა თავთავების შეგროვება, რის გამო მოსულმა წვიმამ გამოიწვია თავთავების დანაკარგები“.

განა „წითელი დროშის“ რედაქციის მუშაკებმა არ იციან, რომ თავთავების „შეგროვების არ ჩატარების“ გამო წვიმა არ მოდის?..

3 ივლისის ნომერში დაბეჭდილია წერილი „დაბა ვალეს აფთიაქში“. თურმე, 28 ივნისს „კლიენტმა თელიევმა აფთიაქში წარადგინა რეცეპტი, რომელშიც მისი ნამდვილი გვარის — თელიევის ნაცვლად ეწერა ვილაც მანველოვის გვარი“. გაზეთი აღშფოთებულია ამით და წერს:

„შესაძლებელი იყო, რომ ამავე დღეს გვარად ნამდვილად მანველოვსაც შეეკვეთა ავადმყოფისათვის წამალი და რადგან აფთიაქიდან წამლების გაცემა უქვითროდ, სარეგისტრაციო წიგნიდან, გვარის მიხედვით წარმოებს, ამის გამო კლიენტ მანველოვს შეეძლო პირველი მანველოვს (რეცეპტის მიხედვით) ნამდვილად კი თელიევს წამალი გაეტანა აფთიაქიდან და ავადმყოფს მიეღო არადანიშნულებისამებრ“.

მოდით და გაიგეთ, რის თქმა უნდა წერილის ავტორს.

არას ვამბობთ კორექტურულ შეცდომებზე, რომლებიც ძალიან ხშირად გვხვდება გაზეთში.

„წითელი დროშის“ რედაქციამ არსებითად უნდა გააუმჯობესოს გაზეთის ენა, სწრაფის გასაგებად. იგი მეტი პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს მკითხველებს, თავისი გაზეთის ავტორიტეტს.

## წერილები რედაქციას

### მოვუაროთ დ. ჭონქაძის სახლსა [illegible]

დუშეთის მახლობლად მდებარეობს დანიელ ჭონქაძის სამშობლო სოფელი ყვავილი. აქ არის დანიელის სახლი და ბაღი. ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ყოველწლიურად მრავალი ექსკურსანტი მოდის მწერლის სამშობლოს სანახავად, მაგრამ, სამწუხაროდ, მწერლის სახლი დღემდე უყურადღებოდ არის მიტოვებული.

სახლი, სადაც დ. ჭონქაძე დაიბადა, ახლა ადგილობრივ სკოლას საწყობად აქვს გამოყენებული, ხოლო ბაღის მცენარეები შარშან აჩეხეს და შეშად გამოიყენეს. [illegible] სახლთან დაკავშირებული ბევრი ნივთი უყურადღებობით დაიკარგა და განადგურდა.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ მწერლის სახლს, დაიცვან ნივთები, რომლებიც ჭონქაძის ხსოვნასთან არის დაკავშირებული, და მოამზადონ ნიადაგი ყვავილში მწერლის სახლ-მუზეუმის გახსნისათვის.

ს. ვადაჭკორია,
დუშეთის რაიონის არაგვისპირის საექიმო პუნქტის ექიმი.

## გავაძლიეროთ ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ

დიადი ამოცანის — კომუნიზმის მშენებლობის განხორციელების უზრუნველსაყოფად საბჭოთა ადამიანები უდიდეს შემოქმედებითს შრომას ეწევიან, გვიჩვენებენ მასობრივი გმირობის ნიმუშებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქა-იქ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კეთილსინდისიერ შრომას გაურბიან და უწესრიგობა შეაქვთ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ერთგვარ გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, ნორმალური მუშაობის წარმართვაზე და კულტურულ დასვენებაზე.

ზოგიერთთა ამ შეუფერებელ ქცევას, რაც ხულიგნობის სახით გვევლინება, შეუპოვარი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ამ საქმეში მილიციისა და საგამომძიებლო ორგანოებს აქტიურად უნდა დაეხმაროს ყველა საბჭოთა მშრომელი, გამოუმჟღავნებელი და დაუსჯელი არ უნდა დარჩეს არც ერთი დამნაშავე.

საგამომძიებლო დარგის ზოგიერთი მუშაკი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, აჭიანურებს და დაბალხარისხოვნად აწარმოებს საქმეთა გამოძიებას, რითაც ხულიგანს საშუალება ეძლევა თავი დააღწიოს სასჯელს. არის შემთხვევები, როცა სასამართლო ორგანოები ამართლებენ, ლმობიერ სასჯელს უფარდებენ ხულიგნებს.

ხაშურის რაიონის საგამომძიებლო ორგანოებმა ხულიგანი შ. მანაშაური წინასწარ არ დააპატიმრეს, მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენჯერმე ჰქონდა ჩადენილი ხულიგნობა.

ქ. თბილისის მილიციის მე-5 განყოფილებაში 1951 წლის 6 ივლისს დაწყებული საქმე ხულიგან მ. მარღიშვილის მიმართ დამთავრდა მხოლოდ 4 თვის შემდეგ. ხულიგანი პატიმრობაში არ იყო და გამოძიების პერიოდში კიდევ ჩაიდინა დანაშაული.

1951 წლის 5 სექტემბერს ბრალდებულ უზნაძეს ქ. გორის სახალხო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ მოუხსნა ბრალდება და გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ უზნაძემ გორის საბილიარდოში შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქეს და სასადილოში დაამტვრია ჭურჭელი.

1951 წლის 15 ივნისს მახარაძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ აშკარა ხულიგნები ი. მეგრელიძე და ტ. დარასელია, ხოლო იმავე წლის 27 ივლისს — ნ. სიმაშვილი თავისუფლების აღკვეთის შეუფარდებლად დატოვა; 1-ლი უბნის სახალხო სასამართლომ 1951 წლის 15 აგვისტოს უსაფუძვლოდ მოუხსნა სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის II ნაწილი ხულიგან ქ. ვერულაძეს, რომელმაც სოფელ ნატანებში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქე ნაკაიძეს, ამასთან არ დაემორჩილა მილიციის მუშაკს.

გუდაუთის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ 1951 წლის 4 ივლისს ხულიგნებს გ. მატუას და ვ. ტრაფაშის, რომლებმაც ახალი ათონის კოლმეურნეობის კლუბში კინოსურათის მსვლელობის დროს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ერთ-ერთ მოქალაქეს და არ დაემორჩილნენ მილიციის თანამშრომლებს, თითო წლით მისჯილი პატიმრობა სრულიად უსაფუძვლოდ შეუცვალა გამოსაცდელი ვადით.

ხულიგან მ. გიორგობიანს, რომელმაც სოფელ გლდანის კლუბში კონცერტის მსვლელობის დროს უცენზურო სიტყვებით მიმართა მოქალაქეებს, არ დაემორჩილა მილიციის მუშაკებს და პირიქით მათ შეურაცხყოფა მიაყენა, თბილისის გარეუბნის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ მხოლოდ 1 წლით იძულებითი მუშაობა შეუფარდა.

ხულიგნების წინააღმდეგ აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ყოველი საბჭოთა მოქალაქის საპატიო მოვალეობაა აქტიური დახმარება გაუწიოს მილიციისა და საგამომძიებლო ორგანოებს ხულიგნობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. მუშკუდიანი,
საქართველოს სსრ პროკურატურის მილიციის ორგანოებისადმი ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.

## რუსთავის სავაჭრო ქსელის მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

მეტალურგთა ქალაქში დღითიდღე ფართოვდება სავაჭრო ქსელი. შენდება ახალი კეთილმოწყობილი მაღაზიები, პავილიონები, სასადილოები და სხვ. მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისიდან რუსთავში შეიქმნა დამოუკიდებელი სავაჭრო ორგანიზაცია — „რუსთავვაჭრობა“.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ ღონისძიების შემდეგ ახალი სოციალისტური ქალაქის მცხოვრებთა სავაჭრო მომსახურება საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსთავის სავაჭრო ქსელის მუშაობაში მკვეთრი გარდატეხა ჯერ არ მომხდარა. მაღაზიები არ მარაგდება ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი სამრეწველო საქონლითა და პროდუქტებით. პურიც ხშირად დაბალი ხარისხისა ცხვება. ჯერ კიდევ არის ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების, დაბალხარისხოვანი პროდუქციით ვაჭრობის მთელი რიგი შემთხვევები.

განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ქალაქის სასადილოები, რომელთა მეტი წილი დაბალი ხარისხის პროდუქტებით მარაგდება. სასადილოებში დაგვიანებით იღებენ ბოსტნეულს, ზუსტად არ იცავენ კალკულაციას, სადილები ხშირად ერთფეროვანია და უგემური.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროთა უმეტესობა სამ ცვლად მუშაობს. ღამით სასადილოები მხოლოდ მარტენისა და ბლუმინგის საამქროებს ემსახურება.

რუსთავის მცხოვრებთა გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს ქალაქის განაპირა უბანში დროებითი მომსახურებისათვის მოწყობილი საკოლმეურნეო ბაზარი. ახალი საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობა კი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

საჭიროა რუსთავის სავაჭრო ქსელის მუშაობა გარდაიქმნას.

შ. ქვრივიშვილი.
ვ. მოტონელიძე.

### გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

## დანაშაულისათვის

ამბროლაურის რაიონიდან სოფლკორი გვწერდა, რომ სოფელ ველევის კოსიგინის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა არ სრულდება, გასულ წელს პირუტყვი საკვებით უზრუნველყოფილი არ იყო, რის გამო ფერმაში მრავალი სული პირუტყვი დაიხოცა.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. კვიტაშვილი გარიცხა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებიდან და მისცა პასუხისგებაში. პასუხისგებაში მიცემულია აგრეთვე ფერმის გამგე ვ. ენუქიძე.

### „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## „ვიბრძოლოთ გეგმის ყველა მაჩვენებლის შესრულებისათვის“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 6 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მარგანეცისა და სადნობ საამქროებში დიდი რაოდენობით გადახარჯულია ელექტროენერგია, გაიზარდა პროდუქციის თვითღირებულება, ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შედეგად არის წუნდებული ნაწარმის გამოშვების ფაქტები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე გვწერს, რომ აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და მიიღო ღონისძიებანი ქარხნის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ამჟამად ქარხანაში მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია.

## მშვიდობიანი მშენებლობის განმტკიცებისა და განვითარების ბიუჯეტი

### ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი ბიუჯეტი

**პეკინი**, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო" აქვეყნებს სინხუას სააგენტოს ცნობას ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომის შესახებ, რომელმაც დაამტკიცა 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და 1952 წლის ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი.

სხდომაზე გამოსულმა ფინანსთა მინისტრმა ბო ი-ბომ აღნიშნა, რომ 1952 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 1951 წელთან შედარებით, შემოსავლის ზრდას 41,66 პროცენტით, ხოლო გასავლისა — 55,52 პროცენტით. ამასთან 1952 წლის ბიუჯეტში შემოსავალი და გასავალი დაბალანსებულია.

„ჟენმინჟიბაო" მოწინავე სტატიაში, სათაურით „ჩინეთის საფინანსო-ეკონომიურ მდგომარეობაში უკეთესისაკენ ძირეული მობრუნების მაჩვენებლები", — ეხება რა 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1952 წელს მიღწეულ იქნება სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის სრული ბალანსი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სამრეწველო წარმოება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1951 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 26,7 პროცენტით, ხოლო 1952 წელს იგი კიდევ უფრო მეტად გადიდდა. პროდუქციის 35 ძირითადი სახეობის წარმოების დონე უკვე მაქსიმალური ომამდელი დონის 126 პროცენტს შეადგენს. ჩინეთის მეტწილ რაიონებში დამთავრებულია მიწის რეფორმა. უმაგალითოდ გაძლიერდა გლეხთა ფართო მასების საწარმოო ენთუზიაზმი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონემ 1951 წელს უკვე მიაღწია მაქსიმალური ომამდელი დონის 92,8 პროცენტს, ხოლო 1952 წელს მარცვლეული კულტურების მოსავალი ჩინეთის ისტორიაში მაქსიმალურ დონეს გადააჭარბებს. ჩინეთი შესაძლებლობას მიიღებს დამოუკიდებლად მთლიანად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება ბამბაზე. მარცვლეულითა და ბამბით სრული თვითუზრუნველყოფა აღმოფხვრის პასიურ სავაჭრო ბალანსს, რომელიც ჩინეთში ამ უკანასკნელი 100 წლის მანძილზე იყო.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული, განაგრძობს გაზეთი, ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რკინიგზის ტრანსპორტის, კომუნიკაციების, მეტყევეობის, ირიგაციისა და ვაჭრობის დარგში და ჩინეთის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

დიდი მიღწევებია განათლების დარგში. ჩინეთში ახლა არის უმაღლეს სასწავლებელთა 175 ათასი სტუდენტი, ტექნიკუმებისა და საშუალო სკოლების 2.050 ათასი მოსწავლე. 541 ათასზე მეტ დაწყებითს სკოლაში სწავლობს 43 მილიონზე მეტი ბავშვი, ესე იგი სასკოლო ასაკის ბავშვთა საერთო რიცხვის 55 პროცენტი. წელს ჩინეთის კულტურა და განათლება კიდევ უფრო მეტად განვითარდება.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1951 წლის ბიუჯეტი შესრულებულია გასავალზე შემოსავლის ერთგვარი გადაჭარბებით. 1952 წლის ბიუჯეტი, რომელშიც შემოსავალი და გასავალი დაბალანსებულია, მტკიცე საფუძველს უყრის შემდგომ ფართო ეკონომიურ მშენებლობას ჩინეთში.

1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და 1952 წლის ახალი ბიუჯეტის მიღება, წერს გაზეთი, იმის ნათელი მაჩვენებელია, რომ ჩინელი ხალხი განუხრელად ესწრაფვის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას და ცენტრალური სახალხო მთავრობა ზრუნავს ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის 50 პროცენტი ასიგნებულია სახელმწიფო სამრეწველო მშენებლობისა და ფოლადისა და თუჯის წარმოების, ქვანახშირის ამოღების, ელექტროენერგიის, ნართის, ქსოვილებისა და სხვა პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, აგრეთვე სარკინიგზო და საირიგაციო მშენებლობისათვის. დიდი სახსრები იხარჯება განათლებაზე, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის მიზანია მშვიდობიანი მშენებლობის განმტკიცება და განვითარება, დაასკვნის გაზეთი, ძირეულად განირჩევა კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებისაგან, სადაც სახსრების უდიდესი ნაწილი ახალი ომის მომზადებას ხმარდება.

## ახალი კომუნისტური გაზეთი ინდოეთში

**დელი**, 11 აგვისტო. (საკდესი). 9 აგვისტოს დელში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი იმის გამო, რომ ჰინდის ენაზე გამოვიდა ყოველკვირეული კომუნისტური გაზეთი „ჯანიუგი". მიტინგში ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

## დი ვიტორიოს დაბადების სამოცი წლისთავი

**რომი**, 10 აგვისტო. (საკდესი). ჯუზეპე დი ვიტორიოს დაბადების 60 წლისთავის გამო, რაც დღეს აღინიშნება, გაზეთმა „უნიტამ" გამოაქვეყნა მისალმება, რომელსაც ხელს აწერენ იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრები პალმირო ტოლიატის მეთაურობით.

## X საჭადრაკო ოლიმპიადაზე

**ჰელსინკი**, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს X საჭადრაკო ოლიმპიადის შეჯიბრებათა მეორე ტურში დასავლეთ გერმანიის გუნდმა მოუგო ლუქსემბურგის გუნდს ანგარიშით 4:0 და არგენტინის გუნდმა საარის გუნდს ანგარიშით $3^1/_2:^1/_2$. ჰოლანდიისა და ფინეთის გუნდების თამაში ყაიმით დამთავრდა.

**ჰელსინკი**, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა შვეიცარიის გუნდს. დაფების რიგით საბჭოთა კავშირისაგან თამაშობდნენ გროსმაისტერები ბრონშტეინი, გელერი, ბოლესლავსკი და კოტოვი. თამაშის დაწყების შემდეგ მალე გროსმაისტერმა გელერმა გამოიყენა მოწინააღმდეგის მიულერის შეცდომა და მოიგო ხარისხი და პაიკი. ამან განსაზღვრა ბრძოლის სწრაფი დასასრული. მე-19 სვლაზე საბჭოთა გროსმაისტერმა გამარჯვება მოიპოვა. ბრონშტეინმა შავებით კარგი სტილით მოუგო გრობს და ბოლესლავსკიმ—მორელს. ბენდ-კოტოვის პარტია ხუთი საათის თამაშის შემდეგ გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში.

**ჰელსინკი**, 11 აგვისტო. (საკდესი). კერეს (სსრ კავშირი)-ჩერნიაკის (ისრაელი) პარტია, რომელიც დღეს გათამაშდა, კვლავ გადაიდო და გათამაშდება თავისუფალ დროს მსაჯთა კოლეგიის შეხედულებით.

**ჰელსინკი**, 11 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა გროსმაისტერ ა. კოტოვისა და შვეიცარიელი მოჭადრაკის ბენდის პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, საბჭოთა გუნდმა დღევანდელი შეხვედრა შვეიცარიის გუნდთან მოიგო ანგარიშით $3^1/_2:^1/_2$.

**ჰელსინკი**, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე ტურში შეერთებული შტატების გუნდმა მოუგო ისრაელის გუნდს ანგარიშით 4:0, პოლონეთის გუნდმა — საბერძნეთის გუნდს ანგარიშით $2^1/_2:1^1/_2$.

ორი ტურის შემდეგ წინ არის საბჭოთა კავშირის გუნდი — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია. მეორე ადგილზეა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი $5^1/_2$ ქულა.

დღეს მსაჯთა კოლეგიამ განიხილა ამერიკის გუნდის პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჰოლანდიის შეხვედრის ერთ-ერთი პარტიის შედეგის გამო, რომელიც გუშინ გათამაშდა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეს მატჩი დამთავრდა ამერიკელთა დამარცხებით ანგარიშით $1^1/_2:2^1/_2$. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის წარმომადგენელმა გააპროტესტა შედეგი და აღნიშნა, თითქოს საათი ერთ პარტიაში სწორად არ მუშაობდა. მსაჯთა კოლეგიამ უარყო ეს პროტესტი და მაშინ ამერიკის გუნდმა უკან წაიღო იგი.

## ირანის სენატში

**პარიზი**, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც პარიზის რადიომ გადასცა, დღეს დილით ირანის სენატმა 25 ხმით კენჭისყრაში მონაწილე 27 სენატორთაგან პრემიერ-მინისტრ მოსადიკს საგანგებო რწმუნებები მიანიჭა.

## საფრანგეთის მთავრობის რეაქციული აქტი

**პარიზი**, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა უნგრული გაზეთის „საბად ნეპის" გავრცელება და გაყიდვა საფრანგეთის ტერიტორიაზე.

# კორეის ამბები

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 11 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 11 აგვისტოს გამოაქვეყნა ცნობა:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად გუშინ ფრონტების ცალკე უბნებზე საარტილერიო ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან.

დღეს მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 და დააზიანეს 3 თვითმფრინავი.

## ამერიკელები ბარბაროსულად ბომბავენ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს

**ფხენიანი**, 9 აგვისტო. (საკდესი). ამერიკელთა ავიაცია კვლავ ბარბაროსულად ბომბავს და ცეცხლს უშენს კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. გააფთრებით ესხმიან თავს ფხენიანის, ვონსანის, სარივონის, ხამხონის, იანდოკისა და სხვა ქალაქების რაიონებს. ყოველ დღე უწესრიგოდ ბომბავენ და ცეცხლს უშენენ სოფლის რაიონებს, სოფლის ქოხებს და მინდვრად მომუშავე გლეხებს.

როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს და გაზეთ „მინჯუ ჩოსონის" ცნობებიდან ჩანს, მარტო ხამხინის რაიონს 15 დღის განმავლობაში 20-ჯერ დაესხნენ თავს. ამ თავდასხმებში მონაწილეობდა 800-ზე მეტი თვითმფრინავი. ასობით ტონა ბომბი დააყარეს ქალაქსა და ახლომახლო სოფლებს მოკლული და დაჭრილია 1500-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. ფუგასური და ნაპალმის ბომბებით გადაწვეს 15 სოფელი. ათობით სოფელი დაწვეს და დაანგრიეს ფხენიანის რაიონში, კანსეს, ტედონის, კანდონის მაზრებში. ყურადღებას იპყრობს, რომ ამერიკელთა თვითმფრინავები დაბომბვის დროს ფართოდ იყენებენ ნაპალმის ბომბებს და დაყოვნებული მოქმედების ბომბებს. იქ, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ სოფლები იყო, სადაც გლეხები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, ახლა ჩანს შავი ნახანძრალი, რომელშიც დაიღუპა მრავალი დედა შვილებიანად, ჩანს ფუგასური ბომბებით ამოთხრილი ვებერთელა ორმოები.

კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აღნიშნავს, რომ ჰაერის ამერიკელ მეკობრეთა გააფთრებული თავდასხმები დაიწყო ამერიკის უმაღლესი სამხედრო სარდლობის გადაწყვეტილებით. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა განსაკუთრებული აღშფოთებით შეხვდა ამერიკის საჰაერო სარდლობის ბრძანებას ჩრდილოეთ კორეის 78 ქალაქის მოსპობის შესახებ. გასცა რა დანაშაულებრივი ბრძანება კორეაში ახალ-ახალი საჰაერო ბოროტმოქმედების შესახებ, ამერიკის სარდლობას განზრახული აქვს განაგრძოს კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის მხეცური ჟლეტა, რომელიც დაიწყო ფხენიანის დაბომბვით 11 ივლისს.

**ფხენიანი**, 10 აგვისტო. (საკდესი). «10 აგვისტოს შუაღამისას ამერიკის ავიაციამ კვლავ მოახდინა მასირებული თავდასხმა ფხენიანზე. ამ თავდასხმაში, რამაც სამ საათზე მეტ ხანს გასტანა, „მფრინავი ციხის" მარკის ბევრი მძიმე ბომბდამშენი მონაწილეობდა.

განსაკუთრებით გააფთრებით დაბომბეს ფხენიანის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული დასავლეთი რაიონი. თავდასხმის დროს ჩამოყარეს ასობით სხვადასხვა კალიბრის ბომბი. ბარბაროსული თავდასხმის შედეგად მოკლული და დაჭრილია ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები. ქალაქის ამ ნაწილში, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ არის, თავმოყრილი იყო სამოქალაქო მოსახლეობის დიდძალი მიწური, ნაგებობა და დუქანი, რომელთა ადგილას დღევანდელი თავდასხმის შემდეგ მხოლოდ ნანგრევებილა დარჩა.

სავსებით ცხადია, რომ ამ ბარბაროსული თავდასხმის მიზანი იყო ფხენიანის მშვიდობიანი მოსახლეობის მოსპობა, რადგან თავდასხმის დროს ჩამოყარეს დიდძალი მსხვრევადი ბომბი, აგრეთვე დაყოვნებული მოქმედების ბომბები.

## ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიას

**პეკინი**, 9 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა მუკდენიდან გადმოსცა, რომ 7 აგვისტოს კორეაში მყოფი ამერიკელი აგრესორების ავიაცია კვლავ შემოიჭრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, დაბომბა და სროლა აუტეხა ლიანმინდიანძუს და სხვა რაიონებს.

ეს თავდასხმა მოჰყვა 11 ივლისის პროვოკაციულ სროლასა და ჩინელი მოქალაქეების დახოცვას, მიუხედავად ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის 12 ივლისის სერიოზული პროტესტისა, აგრეთვე მთელი ჩინელი ხალხის მტკიცე პროტესტისა და გაფრთხილებისა.

8 დღის განმავლობაში 7 აგვისტოს ჩათვლით ჩინეთის საჰაერო სივრცეში 79 ჯგუფად შემოიჭრა კორეაში მყოფ ამერიკელ აგრესორთა 398 თვითმფრინავი.

## კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალთა თანასწორუფლებიანობის კანონის მეექვსე წლისთავი

**ფხენიანი**, 11 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობამ ზეიმით აღნიშნა ქალთა თანასწორუფლებიანობის კანონის გამოქვეყნების მეექვსე წლისთავი.

განვლილი ექვსი წლის მანძილზე რესპუბლიკის ქალები არა მარტო ახალგაზრდა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის აქტიური მონაწილენი გახდნენ, არამედ მამაცურადაც იცავენ ხალხის მონაპოვარს ამერიკელი აგრესორების ხელყოფისაგან. იაპონელთა კოლონიური ბატონობის წლებში ქალს ოცნებაც კი არ შეეძლო, რომ მამაკაცის თანაბარ მდგომარეობას მოიპოვებდა, ისწავლიდა და შემოქმედებითს შრომას გასწევდა.

საბჭოთა არმიის მიერ 1945 წლის 15 აგვისტოს კორეის განთავისუფლებამ და სახალხო მთავრობის მიერ ქალთა თანასწორუფლებიანობის კანონის მიღებამ ახალი, ნათელი ფურცელი გადაშალა კორეელ ქალთა ცხოვრებაში. ახლა ქალებს ვხვდებით სახელმწიფოებრივი მუშაობის სხვადასხვა უბანზე, საწარმოებში, ტრანსპორტზე, კორეის სახალხო არმიის რიგებში. ათასობით ქალი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში. კორეელი ქალები, ცვლიან რა ფრონტზე წასულ ქმრებსა და ძმებს, გმირულად შრომობენ რესპუბლიკის მინდვრებში.

მთელი კორეელი ხალხი ამაყობს ისეთი შვილებით, როგორიც არიან მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი პაკ დენ აი, პროპაგანდისა და კულტურის მინისტრი ხე დენ სუკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირები — კორეის სახალხო არმიის მედიცინის მუშაკები ლი სუნ ნიმი, კუ სინ ბოკი, მამაცი მფრინავი თხე სონ ხი, გულადი პარტიზანი — კორეელი „ზოია" — ჩო ოკ ხი, შრომის გმირი ფეიქარი ტან უნ სირი, ლოკომოტივის მემანქანე ლაკ ჩუნ ვოლი და ბევრი სხვა. ათასობით ქალი ფრონტზე და ზურგში გმირობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით.

განუწყვეტლივ მატულობს კორეის მოწინავე ქალთა ორგანიზაციის — კორეის ქალთა დემოკრატიული კავშირის წევრების რიცხვი. ახლა ამ კავშირს ორ მილიონზე მეტი წევრი ჰყავს.

მეექვსე წლისთავის წინა დღეებში გლეხმა ქალებმა მთელ რესპუბლიკაში გაჩაღეს შეჯიბრება უხვი მოსავლის მოყვანისათვის. შეჯიბრების მსვლელობაში შეიქმნა გლეხთა ურთიერთდახმარების ათობით ახალი რგოლი, გაითიბა და გეგმის გადამეტებით დამზადებულია მრავალი ტონა თივა და ვადამდე დამთავრდა მეოთხე მარგვლა.

კორეის გაზეთები, აღნიშნავენ რა ღირსშესანიშნავ თარიღს და მაღალ შეფასებას აძლევენ რა სამშობლოს სასახელოდ ქალთა შრომითსა და საბრძოლო მიღწევებს, ხაზგასმით აცხადებენ, რომ შვიდი წლის მანძილზე განთავისუფლებულ კორეაში აღიზარდა ასეულ ათასობით პატრიოტი ქალი, რომლებისთვისაც სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა სიცოცხლეზე ძვირფასია.

## ორი ბრწყინვალე გამარჯვება

ძაუჯიყაუში დამთავრდა კალათბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა კოლექტივების ამხანაგური შეჯიბრება სსრ კავშირის [illegible] პირველობისათვის.

საკავშირო [illegible] მონაწილეობდნენ მოსკოვის [illegible] და საკავშირო [illegible] გუნდებმა.

ბრწყინვალედ ჩაატარეს შეხვედრები საქართველოს კალათბურთელმა გოგონებმა, რომლებმაც შვიდი შეხვედრიდან შვიდივე მოიგეს და მესამედ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა ჭაბუკთა გუნდების შეხვედრები. საქართველოს სპორტსმენებმა აქაც ისახელეს თავი და მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო წოდება.

ამრიგად, საქართველოს მოზარდ კალათბურთელთა კოლექტივებმა ორი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

## ფ ე ხ ბ უ რ თ ი

გუშინ მოსკოვში ჩატარდა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობისათვის.

თამაშობდნენ „ა" კლასის გუნდები — თბილისის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო". გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა ანგარიშით 1:0.

ამ გამარჯვებით თბილისის „დინამომ" პირველი ორი ქულა მოიპოვა.

## ახალი კინოთეატრების მშენებლობა თბილისში

თბილისის ყველა უბანს უნდა ჰქონდეს თავისი კინოთეატრი. ამ მხრივ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. პირველ რიგში ახალი კინოთეატრების აგება გადაწყვეტილია ლენინის სამრეწველო რაიონში და ორჯონიკიძის რაიონში (საბურთალოზე). ორივე ამ ახალი კინოთეატრის შენობას ექნება საზაფხულო და საზამთრო დარბაზები.

ორჯონიკიძის რაიონში დაწყებულია კიროვის პარკში აგებული საზაფხულო კინოთეატრის გაფართოება და მისი ახლო მიდამოების კეთილმოწყობა, რაც უახლოეს ორ თვეში უნდა დამთავრდეს. სამუშაოთა შესრულება მინდობილი აქვს თბილისმშენს.

## სტუდენტთა ტურისტული ლაშქრობა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ალპინიადის მონაწილეებმა წარმატებით დაამთავრეს ტურისტული ლაშქრობა. მათი მარშრუტი ასეთი იყო: ყელის ტბიდან (ყაზბეგის რაიონი) გადალახეს რამდენიმე მყინვარიანი უღელტეხილი და გადავიდნენ თრუსოს ხეობაში. აქედან განვლეს მდინარე თერგის სათავე, ზეკის უღელტეხილი და გადავიდნენ არდონის ხეობაში (ჩრდილოეთი კავკასია), ხოლო იქიდან სოფელ ბურონში.

ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობდა 36 ალპინისტი სტუდენტი. მათ ხელმძღვანელობდნენ ალპინიზმის ინსტრუქტორი ლექტორი ო. გიგინეიშვილი და ალპინიზმის ინსტრუქტორები ვ. კვაჭაძე და ი. ბაქრაძე.

## დ ღ ე ს გ ა ზ ე თ „ზ ა რ ი ა ვ ო ს ტ ო კ ა შ ი"

პირველი გვერდი: მოწინავე — ვადამდე შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა.

ი. ქუმარიტოვი — იოსებ ტიტვინიძის მაგალითისამებრ.

საბჭოთა კავშირში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი: საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი.

ინტელიგენცია მშვიდობისათვის ბრძოლაში — „პრავდის" 12/VIII მოწინავე.

პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე — კ. ნიკოლაიშვილი — კონტროლი მანეთით.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

მესამე გვერდი: დ. ჯოჯუა — მეტი მაღალხარისხოვანი ქართული თამბაქოსათვის.

გ. გეგეშიძე — რუსთავის მეტალურგები ახალი ამოცანების წინაშე.

მეოთხე გვერდი: უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე გ. მელაძე

## მზადება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურისათვის

**ვარშავა**, 11 აგვისტო. (საკდესი). ვარშავაში გაიმართა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების სავოევოდო განყოფილებათა ხელმძღვანელი მუშაკების სრულიად პოლონეთის თათბირი, რომელიც მიეძღვნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მომავალ ერთთვიურს.

თათბირმა მოისმინა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის სტეფანე მატუშევსკის მოხსენება საზოგადოების ამოცანების შესახებ და საზოგადოების გენერალური მდივნის სტანისლავ პიეტროვსკის მოხსენება მომავალი ერთთვიურის პროგრამის შესახებ.

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს ერთთვიურის როგორც მომზადება, ისე მოწყობა მოხდება პოლონეთის ცხოვრების განსაკუთრებით მნიშვნელოვან პერიოდში —დიდი პოლიტიკური მოვლენების პერიოდში, როგორიც არის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნები და ადგილობრივი სახალხო საბჭოების არჩევნები.

ერთთვიური დაიწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის დღეს და დამთავრდება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყრილობით, რომელიც შეაჯამებს შესრულებულ მუშაობას.

## შვეციის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

**სტოკჰოლმი**, 11 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ დაგი" იუწყება, 9 და 10 აგვისტოს სტოკჰოლმში გაიმართა შვეციის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

შვეციის საგარეო პოლიტიკის შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა კომპარტიის თავმჯდომარემ ჰილდინგ ჰაგბერგმა.

ჰაგბერგმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა:

„ატლანტიკის კავშირის მანევრები ბალტიის ზღვაში, რაც დაგეგმილია მომავალი თვისათვის, საბჭოთა კავშირისადმი მტრული მოქმედებაა და ასახავს იმ განზრახვას, რომ მომავალ ომში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა. უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ამ მანევრებს მოჰყვება საზღვრების დარღვევა და ისეთი ხასიათის ახალი შემთხვევები, რომლებმაც შვედი ხალხის შეშფოთება გამოიწვია ივნისში.

იმ გარემოებამ, რომ თავდაცვის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოაწყოს დიდი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო მანევრები, რაც დროისა და ადგილის მიხედვით დაემთხვევა ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მანევრებს, გაკვირვება გამოიწვია. ეს შვედ ხალხსა და უცხოეთის საზოგადოებრივ აზრს მიაჩნია შვეციისა და ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნების ერთობლივ სამხედრო მანევრებად. მთავრობის პრესის მტკიცება, შვეციასა და ატლანტიკის ბლოკს შორის არავითარი შეთანხმება არ არსებობსო, ნდობას ვერ მოიპოვებს ვერც შვეციაში, ვერც მის გარეთ, თუ მანევრების დანიშნული დრო და ადგილი არ შეიცვალა. გარდა ამისა, ამ გეგმის განხორციელებას შეუძლია გააუარესოს ურთიერთობა ერთი მხრივ შვეციის და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირსა და ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაწილში სახალხო დემოკრატიის მეზობელ ქვეყნებს შორის.

ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან, რომ ეს მანევრები ბალტიის ზღვაში არ მოეწყოს ატლანტიკის კავშირის მანევრების დროს. თუ მთავრობა გამოცხადებულ გადაწყვეტილებას შეასრულებს, იგი აგრეთვე პასუხისმგებელი იქნება ყოველივე იმისათვის, რაც შეიძლება მოხდეს.

შვეცია საბჭოთა კავშირთან, ფინეთთან და ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაწილში სახალხო დემოკრატიის მეზობელ ქვეყნებთან ერთად დაინტერესებულია, რომ ბალტიის ზღვა დაცულ იქნას ატლანტიკის პაქტის ხრიკებისაგან და ომისათვის მზადებისაგან".

პლენუმმა განიხილა აგრეთვე შვეციის რიკსდაგის მეორე პალატის მომავალი არჩევნების საკითხი.

პლენუმს დაესწრნენ ფინეთის, დანიისა და ნორვეგიის მოძმე კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები.

## ხელი მოაწერეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საფრანგეთის სავაჭრო შეთანხმებებს

**პარიზი**, 12 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „სე სუარი" იუწყება, რომ ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებებს, რომლებიც დაიდო საფრანგეთის საქმიანი წრეებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საიმპორტო-საექსპორტო კომპანიის წარმომადგენლებს შორის.

შეთანხმებანი ითვალისწინებენ 1 მილიონი გირვანქა სტერლინგის (1 მილიარდი ფრანკის) საქონელგაცვლას. საფრანგეთი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიაწვდის მთელ რიგ ქიმიურ, კერძოდ ფარმაცევტულ საქონელს. ამის სანაცვლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საფრანგეთს გაუგზავნის ჩაის, აბრეშუმს, ტყავეულს, კვერცხსა და სოიას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმებანი შედეგია მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე საფრანგეთისა და ჩინეთის დელეგაციების შეთანხმებისა.

## გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის, ბონის შეთქმულების წინააღმდეგ!

### მრავალათასიანი მიტინგი და დემონსტრაცია ბერლინში

**ბერლინი**, 11 აგვისტო. (საკდესი). ათასობით მშრომელმა, რომლებიც ბერლინის ფრანგული სექტორის რაიონებში — ვედინგსა და რაინიკენდორფში ცხოვრობენ, გუშინ დაათვალიერა მშენებლობანი სტალინის ხეივანში ბერლინის დემოკრატიულ სექტორში. ეს მშენებლობანი ხორციელდება ბერლინის აღდგენის ეროვნული პროგრამის მიხედვით.

მშენებლებმა დასავლეთ ბერლინიდან მოსულ მშრომელებს დაწვრილებით გააცნეს სტალინის ხეივანში საცხოვრებელი შენობების აგების გეგმა. აქ გაჩაღებული მშენებლობის უდიდესმა გაქანებამ დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მშენებლობის დათვალიერების შემდეგ სტალინის ხეივანში მდებარე შენობის სასპორტო დარბაზში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. დიდი ბერლინის მაგისტრატის სახელით მიტინგზე შეკრებილთ გულითადად მიესალმა ობერ-ბურგომისტრი ფრიდრიხ ებერტი. თავის სიტყვაში ფრიდრიხ ებერტმა ამხილა იმპერიალისტებისა და მათი მსახურის ადენაუერის ხრიკები. მან დასავლეთ ბერლინის მშრომელებს მოუწოდა ბერლინელებისა და მთელი გერმანიის ბედნიერი მომავლისათვის გააძლიერონ ბრძოლა ბონის სეპარატული ხელშეკრულების წინააღმდეგ.

მიტინგზე გამოსულმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შიდაგერმანიის ვაჭრობის რწმუნებულმა იოზეფ ორლოპმა განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია ამჟამად დასავლეთ ბერლინის საწარმოებს მისცეს 94 მილიონი მარკის ღირებულების შეკვეთები.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას და ილაშქრებენ ბონის სეპარატული ხელშეკრულების წინააღმდეგ.

შემდეგ გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია. დემონსტრანტებს ქუჩებში მოჰქონდათ ტრანსპარანტები და ლოზუნგები და მოითხოვდნენ მთელ ბერლინში მშვიდობიანი მშენებლობის განხორციელებას და პროტესტს აცხადებდნენ ბონის სეპარატული ხელშეკრულების წინააღმდეგ.


**ელექტროენერგიის მომხმარებელთა საყურადღებოდ**

ელექტროენერგიით სარგებლობის მოქმედი წესების თანახმად, ახალი მომხმარებლების მომსახურება, მოქმედ ელექტროდანადგართა სიმძლავრის გადიდება და ელექტროენერგიით სარგებლობა 1953 წელს იწარმოებს მხოლოდ წინასწარი განაცხადების საფუძველზე.

დაინტერესებული საწარმოები, დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები, რომლებსაც განზრახული აქვთ ახალ ელექტროდადგმულობათა მოწყობა, არსებულ ელექტროდადგმულობათა სიმძლავრის გადიდება და ელექტროენერგიის მიღება, ვალდებული არიან 1952 წლის 1 სექტემბრამდე წარმოადგინონ განაცხადი 1953 წლისათვის და საორიენტაციო ციფრები შემდეგი ორი წლისათვის, ობიექტების დასახელებით, მათი ადგილმდებარეობის, საჭირო სიმძლავრის, ექსპლოატაციაში გაშვების ვადის და ელექტროენერგიის ყოველთვიური მოხმარების აღნიშვნით.

განცხადებები წარმოდგენილ უნდა იქნას საქენერგოს ენერგოგასაღებაში შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 28-ა. იქვე შეიძლება განაცხადთა დაბეჭდილი ფორმების მიღება.

იმ ელექტროდადგმულობებზე, რომლებიც შესაერთებელია ან უკვე შეერთებულია უშუალოდ ქალაქების ან საქსოფლენერგოს ელექტროქსელებზე და ელექტროენერგიას იღებენ საქენერგოს ენერგოსისტემიდან, აგრეთვე კურორტების ბორჯომის, წყალტუბოს და გაგრის ელექტროქსელებზე, განაცხადის ასლი აუცილებლად უნდა გაეგზავნოს ზემოთ დასახელებული ქსელების სამმართველოებსაც.

საქენერგოს ენერგოგასაღება.


## საქართველოს რადიოინფორმაციის 14 აგვისტოს გადაცემათა პროგრამა

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**: 06.25 — მარშები; 07.30 — მუსიკალური ანტრაქტი; 07.40 — პიონერთა დაფიონი; 09.20 — თევდორაძის სიმფონიური პოემა „რუსთავი"; 11.00 — კონცერტი საქართველოს ფილარმონიის სოლისტების ბეგალიშვილისა და მიქაბერიძის შესრულებით; 11.25 — საუბარი: „საქართველოს მეშახტეები"; 11.40 — ქართული ხალხური სიმღერები გმირებზე; 12.15 — რუსული ხალხური სიმღერები პიატნიცკის სახელობის გუნდის შესრულებით; 12.45 — ვალსები; 17.15 — გლინკას და დარგომიჟსკის ნაწარმოებები; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — მუსიკალური ლექსიკონი; 19.20 — ალ. შავერზაშვილის საფორტეპიანო კონცერტი; 19.45 — გადაცემა კოლმეურნე ახალგაზრდობისათვის;

**რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით**: 20.30 — საოპერო მუსიკის კონცერტი; 20.45 — კონცერტი; 21.00 — საესტრადო კონცერტის ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრიდან. ანტრაქტში საუბარი — „საქართველოს კურორტებზე"; 00.05 — ჩაიკოვსკის კამერული ნაწარმოებები.


1952-53 სასწავლო წელს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო (მხატვრული თვითმოქმედების) სასწავლებელში მიღების პირობები

სასწავლებელს აქვს სამი განყოფილება: მუსიკალური, ქორეოგრაფიული და თეატრალური. მუსიკალური განყოფილება ამზადებს მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელებს (ლოტბარებს), ქორეოგრაფიული განყოფილება — მოცეკვავეთა წრეების ხელმძღვანელებს (ცეკვების დამდგმელებს) და თეატრალური განყოფილება — დრამატული წრეების ხელმძღვანელებს (რეჟისორებს). სასწავლებელი იძლევა საშუალო სპეციალურ განათლებას. სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია.

პირველ კურსზე მიიღებიან 14-დან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა და მოეპოვებათ შესაფერისი მონაცემები სიმღერის, ქორეოგრაფიისა და დრამატულ დარგში მუშაობისათვის. მოსწავლეები, რომლებმაც 8-წლიანი სკოლა 1951 და 1952 წლებში ფრიადზე დაამთავრეს, სასწავლებელში მიიღებიან უგამოცდოდ (გარდა სპეციალური საგნებისა).

სასწავლებელში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს 8 კლასის პროგრამის მოცულობით სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურულ კითხვაში (წერა და ზეპირი).

სასწავლებელში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო წესის თანახმად სტიპენდიით (ნაწილობრივ აუნაზღაურდებათ საცხოვრებელი ბინის ქირა).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე 18 აგვისტომდე.

განცხადებას თან უნდა დაერთოს მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, სამი ფოტოსურათი. გამოცდები იწარმოებს 21 აგვისტოდან.

სწავლა დაიწყება 1952 წლის 1 სექტემბერს.

**სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ივანიძის ქ. № 3, ტელეფონი 3-44-72.**

მოქალაქე ივანე არუთინის-ძე დანამიანმა, მცხოვრებმა ხახანაშვილის ქ. № 8-ში, აღძრა საქმე საბჭოს ქუჩაზე № 212 მცხოვრებ მოქალაქე ნადია ზაქარიას ასულ ბედელურთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

დედა სონია, ძმები გივი, ვახტანგ სერგიები, რძალი ცისანა ჯაში, ძმისწული ნანი იუწყებიან ნათელა ივანეს ასულ დუნდუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-VIII, 8 ს. გამოსვენება 14-VIII, 6 ს. სულხან-საბას ქ. № 6.

დები ლუბა, ქეთო, სიძეები ს. ჰანიშვილი, დ. ესაკია, დისწულები რამაზ, მანანა, ვანო მეუღლით ეთერ ჩხეიძით იუწყებიან ნათელა ივანეს ასულ დუნდუას გარდაცვალებას.

ძმა გელა, რძალი ლილი, ძმისწული ლალი, დები მარიამ და თინა იუწყებიან დავით ნესტორის-ძე გარდაფხაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-VIII, 8 ს. უნივერსიტეტის ქ. № 20, გამოსვენება 14-VIII, 6 ს.



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უფრო... ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვებისა — 3-81-65, გამომცემლობისა — 3 51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03657